პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
19 აპრილი
№ 92 (18034)
ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ჭრიზერიუმია მაღალი პასუხისმგებლობა, პარტიული პრინციპულობა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 1981 წლის პირველი კვარტალის შედეგები და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით განაღდების ამოცანები.

„დიადი თაოსნობის“ გამარჯვება

გუშინ რესპუბლიკაში უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას მიაღწიეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ტრადიციული პროფესიონალთა საბჭოს, ბაკურიანი, ბაკურიანი, ბაკურიანი

...ეროვნული ეკონომიკა

...ეროვნული ეკონომიკა

საქართველოს

სსრ — 3.100 ათასი მანეთი

...ესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოების კოლექტივების ინიციატივას 18 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი „წოდელი შაბათობის“ მოწყობის შესახებ. ისინი გულმოდგინედ მოემზადნენ ამ დღესასწაულის ორგანიზებულად მოწყობისათვის და გუშინ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებასაც მიაღწიეს.

გუშინ ყველგან არნახული შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული. ლენინურ შაბათობაზე 2.600 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 810 ათასი კაცი საწარმოო გაერთიანებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე იღვწოდა. წინასწარი მონაცემებით, დამზადდა 16,5 მილიონი მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასიდან ხუთწლედის ფონდში 8 მილიონ 100 ათასი მანეთი გადაირიცხა.

სახიერმოვნია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მრავალი სამრეწველო საწარმოს ასობით მუშამ შაბათობის დღეს შეასრულა საპირველმაისოდ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. მათ გამარჯვებლად ოთხი და ხუთი თვის გეგმების შესრულება უპატაკეს.

წლის დამდეგიდან დაზოგილი ელექტროენერგიით, საწვავით, ლითონით, ცემენტით და სხვა მასალებით მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი აღმავლობით შესრულდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, დამკვრელური შრომა ხუფევდა ხარემონტო სახელოსნოებსა და ფერმებში.

სამრეწველო საწარმოთა ახობით ბრიგადის, საამქროსა და უბნის კოლექტივებმა გადაწყვიტეს არ შეასრულონ ლენინური შაბათობის დღეს აღებული მაღალი შრომითი ტემპი და ვადამდე შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი.

თბილისი — 478.5 ათასი მანეთი

შესანიშნავი გუნება-განწყობილებით გამოვიდნენ ლენინურ შაბათობაზე თბილისელი მშრომელები. ამას გაბაფხულის მშვენიერმა ამინდმაც შეუწყო ხელი. ასი ათასობით კაცმა მიიღო მონაწილეობა შრომის ზეიმში, დამზადდა დიდძალი ელექტროამამუშავებელი, ელექტროავტომატი, ჩარხი, ათობით ტონა თუჯისა და ფოლადის სხმულები, ასობით წყვილი ფეხსაცმელი და ასობით მეტრი ქსოვილი. დასუფთავდა და კეთილმოეწყო საწარმოთა ტერიტორიები, საამქროები, უბნები, დამონტაჟდა ახალი დანადგარები, შეკეთდა მრავალი დაზგა, ჩარხი, ავტომობილი, ამწე, ლოკომოტივი და ვაგონი.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს „ელმავალმშენებელმა“, „ელექტროაპარატმა“, „საელექტრომანქანამ“ საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებმა. ამ საწარმოებში შაბათობის დღეს მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. გუშინ შემართებით იშრომეს ბერეთელ სამშენებლო ტრესტების კოლექტივებმა ქალაქის მიკრორაიონის ბინების მშენებლობაზე. ტრადიციისამებრ კომუნისტურ შაბათობაში შრომის საუკეთესო მაგალითები აჩვენეს ელექტროვაგონშემკეთებელი, ჩარხსაშენებელი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების ვეტერანებმა.

ჩვენი დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებში 18 აპრილს გამოუშვეს 9 მილიონი მანეთის პროდუქცია, გამომუშავებული ხელფასიდან 478,5 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა.



სურათებზე: შრომითი კოლექტივები ხალისიანი განწყობილებით მიეშურებიან სამუშაო ობიექტებისაკენ; თბილისის ხალოკომოტივო დეპოში; გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ვენახში; ვარკეთილის ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი „იმედი“ შაბათობის მონაწილეებთან.

ს. კილაძისა და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

...ეთერთმეტე ხუთწლედის ...ფონდში გადაირიცხა:

...საქართველოს

...სსრ — 3.100 ათასი მანეთი

...ესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოების კოლექტივების ინიციატივას 18 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი „წოდელი შაბათობის“ მოწყობის შესახებ. ისინი გულმოდგინედ მოემზადნენ ამ დღესასწაულის ორგანიზებულად მოწყობისათვის და გუშინ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებასაც მიაღწიეს.

გუშინ ყველგან არნახული შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული. ლენინურ შაბათობაზე 2.600 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 810 ათასი კაცი საწარმოო გაერთიანებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე იღვწოდა. წინასწარი მონაცემებით, დამზადდა 16,5 მილიონი მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასიდან ხუთწლედის ფონდში 8 მილიონ 100 ათასი მანეთი გადაირიცხა.

სახიერმოვნია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მრავალი სამრეწველო საწარმოს ასობით მუშამ შაბათობის დღეს შეასრულა საპირველმაისოდ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. მათ გამარჯვებლად ოთხი და ხუთი თვის გეგმების შესრულება უპატაკეს.

წლის დამდეგიდან დაზოგილი ელექტროენერგიით, საწვავით, ლითონით, ცემენტით და სხვა მასალებით მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი აღმავლობით შესრულდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, დამკვრელური შრომა ხუფევდა ხარემონტო სახელოსნოებსა და ფერმებში.

სამრეწველო საწარმოთა ახობით ბრიგადის, საამქროსა და უბნის კოლექტივებმა გადაწყვიტეს არ შეასრულონ ლენინური შაბათობის დღეს აღებული მაღალი შრომითი ტემპი და ვადამდე შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი.

თბილისი — 478.5 ათასი მანეთი

შესანიშნავი გუნება-განწყობილებით გამოვიდნენ ლენინურ შაბათობაზე თბილისელი მშრომელები. ამას გაბაფხულის მშვენიერმა ამინდმაც შეუწყო ხელი. ასი ათასობით კაცმა მიიღო მონაწილეობა შრომის ზეიმში, დამზადდა დიდძალი ელექტროამამუშავებელი, ელექტროავტომატი, ჩარხი, ათობით ტონა თუჯისა და ფოლადის სხმულები, ასობით წყვილი ფეხსაცმელი და ასობით მეტრი ქსოვილი. დასუფთავდა და კეთილმოეწყო საწარმოთა ტერიტორიები, საამქროები, უბნები, დამონტაჟდა ახალი დანადგარები, შეკეთდა მრავალი დაზგა, ჩარხი, ავტომობილი, ამწე, ლოკომოტივი და ვაგონი.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს „ელმავალმშენებელმა“, „ელექტროაპარატმა“, „საელექტრომანქანამ“ საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებმა. ამ საწარმოებში შაბათობის დღეს მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. გუშინ შემართებით იშრომეს ბერეთელ სამშენებლო ტრესტების კოლექტივებმა ქალაქის მიკრორაიონის ბინების მშენებლობაზე. ტრადიციისამებრ კომუნისტურ შაბათობაში შრომის საუკეთესო მაგალითები აჩვენეს ელექტროვაგონშემკეთებელი, ჩარხსაშენებელი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების ვეტერანებმა.

ჩვენი დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებში 18 აპრილს გამოუშვეს 9 მილიონი მანეთის პროდუქცია, გამომუშავებული ხელფასიდან 478,5 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა.

ლოტკინის მწვანე კალთაზე

გუშინ, 18 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხუთასამდე წარმომადგენელი დილადანვე ეწვია ლოტკინის მთის ზურმუხტოვან ფერდობს, რომელიც თბილისის ზღვის თვალწარმტაც ნაპირს ეკვრის.

კომუნისტური შაბათობის მონაწილეებმა ოთხ ჰექტარზე ადრე გაშენებულ ნარგავებს კიდევ შვიდი ათასი ძირი კვიპაროსი, ფიჭვი, კაკალი, ტყემალი თუ შინდი შემატეს.

შაბათობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი. („კომუნისტის“ კორ.).

აფხაზეთის ასს რესპუბლიკა — 242. 120 მანეთი

სოხუმი. (საკ. კორ.). გუშინ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ლენინურ შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 268.410 კაცმა. უმრავლესობა თავის სამუშაო ადგილზე ქმნიდა სამრეწველო პროდუქციას. დანარჩენები ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოებზე იყვნენ დასაქმებული. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოებში მუშაობდა 54.820 კაცი, მათ შორის მეცხოველეობის ფერმებში —1770.

შაბათობის დღეს შესრულდა 319.500 მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, დამზადდა 108 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის ათასობით მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში გადარიცხულია 242.120 მანეთი.

სოხუმში შაბათობაზე გამოვიდა 85 ათასი კაცი. თავიანთ სამუშაო ადგილებზე შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის ერთმანეთს ეცილებოდა 21 ათასამდე კაცი და ქალი. აფხაზეთის დედაქალაქის მშრომელებმა წოდელ შაბათობაზე გამოუშვეს 560 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის 350 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში 73.500 მანეთი გადარიცხეს. კომუნისტურ შაბათობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან აფხაზეთში ჩამოსული დამსვენებლები და ტურისტები.

●●

აჭარის ასს რესპუბლიკა — 161. 500 მანეთი

ბათუმი. (საკ. კორ.). ლენინურ შაბათობაზე სამუშაოდ საბჭოთა აჭარაში 180 ათასი, ხოლო მის დედაქალაქში 72 ათასი კაცი გამოვიდა. განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნები სრული დატვირთვით მუშაობდა. ელექტრომექანიკოსებმა, მაგალითად, დაზოგილი მასალებით 10 ელექტროკარი დაამზადეს და ხუთწლედის ფონდში 2.000 მანეთი გადარიცხეს.

დაზოგილი ელექტროენერგიითა და საწვავით იმუშავეს „ფილიპე მახარაძის“, „თბილისის“, „კიკვიძის“, „წულუკიძის“, „მერკვილაძის“ და სხვა ხომალდების ეკიპაჟებმა.

კომუნისტური შაბათობის დღეს, აჭარაში ხუთწლედის ფონდში 161.500 მანეთი გადაირიცხა.

●●

სამხრეთ ოსეთის ასს რესპუბლიკა — 40 ათასი მანეთი

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთში „წითელი შაბათობა“ შრომის დღესასწაულად გადაიქცა. აქაური მშრომელები მასობრივად გამოვიდნენ თავიანთ სამუშაო უბნებზე. ხუთასმა ცხინვალელმა მუშამ ამ დღისათვის ოთხი თვის საწარმოო დავალება შეასრულა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამკერვალო ფაბრიკის მომინანქრებული სადენებისა და ელექტროგიბრაციული მანქანების ქარხნების მშრომელებმა. აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივებმა ამ დღეს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით დამზადეს პროდუქცია.. ნაყოფიერად იშრომეს კვაისელმა მალაროელებმა, მათ გუშინ მადნის ამოღება-გადამუშავების დავალება 105 პროცენტით შეასრულეს.

ქალაქის გაზონების, სკვერების, ქუჩების კეთილმოწყობაზე იმუშავა 22 ათასმა კაცმა, 3.700 კაცი კი უშუალოდ პროდუქციის გამოშვებაზე იყო დასაქმებული.

გუშინ სულ 262.700 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. შესრულდა 26.300 მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, დაიზოგა 4000 მანეთზე მეტი ღირებულების ნედლეული, სათბობი და ელექტროენერგია, ხოლო ხუთწლედის ფონდში 40 ათასი მანეთი გადაირიცხა.

●●

ქუთაისი — 61.000 მანეთი

ქუთაისი. (საკ. კორ.). უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა გუშინ ქალაქის სამრეწველო საწარმოებში, ქუჩებში და მოედნებზე. ათიათასობით კაცმა მიიღო მონაწილეობა შრომის ზეიმში. წინასწარი მონაცემებით, შაბათობაზე 57.800 კაცი გამოვიდა. აქედან სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული იყო 28.200 კაცი, ტრანსპორტზე — 2.360 კაცი, მშენებლობაზე 4.700, ხოლო ქალაქის კეთილმოწყობაზე — 21.800 კაცი.

სამრეწველო საწარმოებმა ამ დღეს გამომიუშავეს მილიონ 300 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ხუთწლედის ფონდში 61 ათასი მანეთი გადაირიცხა. გარდა ამისა ქალაქის შემოგარენში, მოედნებზე, ბაღებსა და პარკებში დაირგო 40 ათასი ხე-ბუჩქი, კეთილმოეწყო და გამშვენიერდა სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა ეზოები და ტერიტორიები. ამავე დღეს ათიათასობით მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა.

●●

თელავი — 35 ათასი მანეთი

თელავი. (საკ. კორ). ქალაქში დილადანვე შრომის ზეიმი სუფევდა. გუშინ შრომითს დღესასწაულში ყველა საწარმოსა და დაწესებულებათა კოლექტივები, ყველა მშრომელი ჩაება. შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 38.500 კაცმა, ამათგან თავის სამუშაო უბანზე იშრომა 14.100. სამრეწველო ორგანიზაციებმა გამოუშვეს 24 ათასი მანეთის პროდუქცია. შესრულდა 55 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობი. შეგროვდა 60 ტონაზე მეტი ჯართი, დაიზოგა 10 ათასი მანეთის ნედლეული, საწვავი და ელეტროენერგია. ქალაქის კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე დასაქმებული იყო 22 ათასი მშრომელი. დაიგო 5.550 ხე.

მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში გამომუშავებული ხელფასიდან 35 ათასი მანეთი გადაირიცხა.

ინდუსტრიის ნაბიჯები

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1981 წლის I კვარტალში სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკები აღმავლობით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს და ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი, აამაღლონ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი.

პროდუქციის საერთო მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების I კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 3,1 პროცენტი. ამასთან საშუალო-სადღეღამისო წარმოება გაიზარდა 4,5 პროცენტით (მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ერთითი ნაკლები სამუშაო დღე იყო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში).

შრომის ნაყოფიერება გადიდდა 2,4 პროცენტით; ამის შედეგად მიღებულია წარმოების მატების სამ მეოთხედზე მეტი. გაიზარდა მოგება.

პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმის შესრულებას, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ცალკეული სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიზედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	პროდუქციის მოცულობის მიხედვით კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	1981 წლის I კვარტალი პროცენტებით 1980 წლის I კვარტალთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
...ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის	100,8	100,8	99
...ნავთობის მრეწველობის	101	102	98
...ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	101	102	102
გაზის მრეწველობის	102	107	104
ქვანახშირის მრეწველობის	100,9	100,8	99,8
შავი მეტალურგიის	103	100,5	99,6
ფერადი მეტალურგიის	101	100,3	99,8
ქიმიური მრეწველობის	101	104	103
მინერალური სასუქების წარმოების	102	108	106
ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის	95	100,6	99,9
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	101	103	103
ელექტროტექნიკური მრეწველობის	100,9	105	105
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის	102	103	103
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	100,9	106	106
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა	102	106	107
საავტომობილო მრეწველობის	101	103	103
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	102	103	103
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	102	109	106
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	102	103	104
მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა	102	106	106
ხე-ტყის, ცელულოზა ქაღალდის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის	100,2	103	104
საშენ მასალათა მრეწველობის	101	103	103
მსუბუქი მრეწველობის	101	102	103
კვების მრეწველობის	103	102	102
ხორცისა და რძის მრეწველობის	101	98	98
თევზის მეურნეობის	106	104	105
დამზადების	105	104	103
სამედიცინო მრეწველობის	100,8	108	107
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	102	110	107

მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ჩათვლით	პროდუქციის მოცულობის მიხედვით კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	1981 წლის I კვარტალი პროცენტებით 1980 წლის I კვარტალთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
რუსეთის სფსრ	101	102,5	102,4
უკრაინის სსრ	102	102,7	102,1
ბელორუსიის სსრ	102	104,2	102,6
უზბეკეთის სსრ	103	106,8	103,8
ყაზახეთის სსრ	102	104,3	102,6
საქართველოს სსრ	103	105,8	104,3
აზერბაიჯანის სსრ	104	106,3	105,0
ლიტვის სსრ	102	104,1	103,4
მოლდავეთის სსრ	102	102,1	100,4
ლატვიის სსრ	102	101,7	102,0
ყირგიზეთის სსრ	103	104,3	103,4
ტაჯიკეთის სსრ	103	107,0	103,8
სომხეთის სსრ	103	107,8	103,7
თურქმენეთის სსრ	104	102,5	100,3
ესტონეთის სსრ	102	102,1	102,4

(დასასრული მე-2 გვ.)

მომხსენებელმა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ, სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის, საპირველმაისო ზეიმისათვის მზადებით გამოწვეულმა საქართველოს მშრომელთა დიდმა ენთუზიაზმმა ხორცი შეისხა მათს წარმატებებში გეგმის, შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებების რეალიზაციისათვის ბრძოლის სხვადასხვა უბანზე. პირველ კვარტალში რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოიმუშავა 45,6 მილიონი მანეთის პროდუქცია, გადაჭარბებით შეასრულეს როგორც სასაქონლო, ისე სრულიად ზეციალიზაციო პროდუქციის კვარტალური დავალებები აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ბევრმა ქალაქმა. გეგმის გადამეტებით მოპოვებულია ათასობით ტონა ნავთობი, მანგანუმის მადანი, გამომუშავებულია 33 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, წარმოებულია დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, ქიმიური ბოჭკო, ცემენტი, სხვა პროდუქცია.

ზრმის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე უზრუნველყოფილია პროდუქციის საერთო მატების 77,2 პროცენტი, საგეგმო 69 პროცენტის ნაცვლად. მთელი რიგი საწარმოები ადიდებენ პროდუქციის წარმოების მთელ მოცულობას შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას ხელს უწყობდეს საგეგმო დისციპლინის განმტკიცება, მკაცრად იკლოს გეგმების შესწორება-შემცირებამ.

მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი აღმოფხვრა ამიერკავკასიის რკინიგზამ, გაიზარდა მშენებელთა მიერ ათვისებული კაპიტალური დანანდების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ძირითადი ფონდების ამოქმედების მოცულობა. მეტი ყურადღება ეთმობა ასამოქმედებელ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს, ამ ობიექტებში მატერიალური რესურსებისა და ტექნიკის კონცენტრაციას.

წარმატებით შრომობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებიც. მთლიანად ურიგო როდია საშემოდგომო სამარცვლე კულტურების ნათესების მდგომარეობა. მეტ წილ მეურნეობათა ფერმების მუშაკებმა შეინარჩუნეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, არ დაუშვეს მათი პროდუქტიულობის შემცირება. მექანიზატორებმა შარშანდელზე უკეთ მოამზადეს ტექნიკა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. თითქმის ყველა მეურნეობაა უზრუნველყოფილი თესლით, დაიწყო და მარშანდელი ტემპის გასწრებით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა, ბალ-ვენახების მწკრივთშორისების დამუშავება.

ახლა, აღინიშნა გაერთიანებულ სხდომაზე, მთავარია შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ტემპი, რომელსაც მრეწველობამ მიაღწია პირველ კვარტალში. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ მრავლად არის არსებითი ნაკლოვანებანი, რაც ხშირად ართულებდა საწარმოო დავალებათა რეალიზაციას, არღვევდა აწყობილ შრომითს რიტმს. ტექნიკური მომარაგების შეფერხების, მოწყობილობის ცვლიანობის დაბალი კოეფიციენტის, საქმის უხეირო ორგანიზაციის, დაბალი საშემსრულებლო დისციპლინის შედეგად იხდუსტრიის სხვადასხვა დარგების საწარმოო კოლექტივების ერთმა ნაწილმა თავი ვერ გაართვა კვარტალურ გეგმას. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ისეთი მსხვილი გაერთიანებანი, როგორიც არის „საქქვანახშირი“, „ჩარხშენებელი“, რუსთავის ქიმიური, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და სხვა ქარხნები. ეს იმის შედეგია, რომ შესუსტდა ყურადღება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისადმი, ჭიანურდება ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებათა ვადა.

თითოეული საწარმოს, კოლექტივი, პარტიული ორგანიზაცია, ყოველი სამინისტრო და უწყება მოვალენი არიან ყოველმხრივ გააანალიზონ პირველი კვარტალის შედეგები, დასახონ საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები. ამასთან უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ჩამორჩენილ რგოლებს.

საჭიროა ყველგან ვეძებოთ და ავამოქმედოთ ახალი რეზერვები, მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის პროცესში ბევრი ახალი საგულისხმო პატრიოტული თაოსნობა ჩნდება. აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის კოლექტივის თაოსნობას: „პროდუქციის მაქსიმუმი — მინიმალური დანახარჯებით“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატის უ. ივანიაშვილის წერილს მაგნიტოგორსკის ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედე საამქროს უფროსი მექურის, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატის ვ. ნაუმკინისადმი, რომელშიც წინადადებას აძლევს გააჩაღონ შეჯიბრება ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რეკორდების ნორმად გადაქცევისათვის. მოწინავეთა გამოცდილება რესპუბლიკის ყველა შრომითი კოლექტივის კუთვნილება უნდა გახდეს. ახლა ჩვენი სამეურნეო მშენებლობის მასშტაბი გაუზომლად გაიზარდა, და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოწინავე გამოცდილება ოპერატიულად ვრცელდებოდეს ყველგან. არ კმარა მოიწონო თაოსნობა, წაახალისო მისი შემოქმედნი — საჭიროა უზრუნველყო მიღწევათა აქტიური ჩვენება, შეასწავლო ადამიანებს შრომის მოწინავე მეთოდები, კონტროლი დაუწესო ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვას. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ შეჯიბრების ორგანიზაციის შტაბებს, პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ სპეციალურ ჯგუფებს. ისინი მოვალენი არიან გამოიჩინონ პრინციპულობა — მოიწონონ გამოცდილება, თუ იგი სასარგებლოა, ამასთანავე აღმოფხვრან ყოველივე, რაც ხელს უშლის მის გავრცელებას. პირველადი პარტორგანიზაციების ვალია უფრო სრულად გამოიყენონ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, რეგულარულად მოისმინონ იმ ხელმძღვანელთა გამოსვლები, რომლებიც პასუხს აგებენ შეჯიბრების მონაწილეთა თაოსნობის დანერგვისათვის, ნოვატორებთან მუშაობისათვის.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ვერ შეეურიგდებით ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირების დაეგეგმვა, რაც დაუშვეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატმა და სხვა საწარმოებმა. საჭიროა აღმოიფხვრას პროდუქციის ხარისხის ამაღლების პერსპექტიულ დაგეგმაში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყოფილ იქნეს ამ საქმეში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახსტანდარტის ორგანოების, ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყოველდღიური და ეფექტიანი მონაწილეობა.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მუშაობაში განუზომლად გაიზარდა კომუნისტთა როლი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე, აღინიშნა სხდომაზე ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობა კომუნისტის, თითოეული შენებული საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი განუყოფელი თვისებაა. პარტიის წევრის სახით თანამშრომელი ამხანაგები აფასებენ პრინციპულ პოლიტიკურ მებრძოლს, რომელიც აქტიურად იბრძვის ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ამუხრუჭებს ჩვენს წინსვლას. იმ ნაკლოვანებათა მტაიცე აღმოფხვრაში, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხუთწლედის საგეგმო

ინდუსტრიის ნაბიჯები

(დასასრული).

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:	წარმოებულია 1981 წლის I კვარტალში	1981 წლის I კვარტალი პროცენტებით 1980 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატ-საათი	359	101
ნავთობი (გაზკონდენსატის ჩათვლით), მილიონი ტონა	150	101
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	117	107
ქვანახშირი, მილიონი ტონა	186	99,7
ფოლადი, მილიონი ტონა	38,1	99,9
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	26,6	99,3
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	4,5	97
რკინის მადანი, მილიონი ტონა	60,5	101
მინერალური სასუქი (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	6,7	105
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეული), ათასი ტონა	130	106
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	6,1	103
კაუსტიკური სოდა, ათასი ტონა	710	100,8
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, ათასი ტონა	1015	111
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა	309	100,2
ავტოსაბურავები, მილიონი ცალი	15,2	97
ტურბინები, მილიონი კილოვატი	3,8	108
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	13,5	102
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	509	106
მათ შორის რიცხვული-პროგრამული მართვისა, ათასი ცალი	2,4	109
სამჭედლო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთისა	154	109
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,4	107
გამომთვლელი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,2	110
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	52,1	97
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	179	96
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	346	105
მაგისტრალური თბომავლები, ათასი ცხენის ძალა	1003	101
მაგისტრალური ელმავლები, ათასი ცხენის ძალა	937	106
სატვირთო მაგისტრალური ვაგონები, ათასი ცალი	16,7	104
ავტომობილები, ათასი ცალი	557	99,1
აქედან:		
სატვირთო	199	98
მსუბუქი	336	99,5
ტრაქტორები, ათასი ცალი	142	100,9
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	680	100,3
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები, მილიონი მანეთისა	527	103
მარცვალასაღები კომბაინები, ათასი ცალი	24,7	82
ბამბაასაღები მანქანები, ათასი ცალი	2,5	104
ექსკავატორები, ათასი ცალი	10,6	100,1
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა), მილიონი ფესტმეტრი	99,5	99
ქაღალდი, მილიონი ტონა	1,4	103
ცემენტი, მილიონი ტონა	31,4	103
ასაწყობი რკინა-ბეტონი, მილიონი კუბური ნაკეთობა	30	100,3
შიფერი, მილიარდი პირობითი ფილა	1,9	102
ყველა სახეობის ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	2,8	104
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	6,1	104
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	418	100,9
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	194	99,2
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), მილიონი ტონა	2,1	98
ძეხვეული, ათასი ტონა	779	99
სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი მანეთისა	1003	103
ერბო-კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	179	99
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), მილიონი ტონა	6,1	101
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	366	102
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	682	92
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	1068	102
კონსერვი, მილიარდი პირობითი ქილა	2,6	103
კომბინირებული საკვები, მილიონი ტონა	17,5	102
საათები, მილიონი ცალი	16,9	103
ფაიფურ-ქაშანურის და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	196	103
ხარისხოვანი ჭურჭელი (მინის და ბროლისა), მილიონი მანეთისა	273	108
რადიომიმღები მოწყობილობანი, მილიონი ცალი	2,1	100,5
ტელევიზორები, მილიონი ცალი	2,0	105
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	0,6	117
მაცივრები, მილიონი ცალი	1,5	103
სარეცხი მანქანები, ათასი ცალი	996	103
მოტოციკლები და მოტოროლერები, ათასი ცალი	258	95
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	1,6	105

გადაჭარბებით შესრულდა გაზის, ნავთობის (მათ შორის გაზკონდენსატის) მოპოვების, ფოლადის, მინერალური სასუქის, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებათა და გამომთვლელი ტექნიკის და მათი სათადარიგო ნაწილების, ავტომობილების, ტრაქტორების, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანების, ცემენტის, შეკერილი ნაწარმის, საკონდიტრო ნაწარმის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა.

მთელი რიგი დარგების ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის საერთო მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და დაგროვების დავალებანი. არ შესრულებულა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის, სამასალე მერქნის, ქაღალდის, ქსოვილებისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის გამოშვების გეგმა, აგრეთვე ქვანახშირის მოპოვების დამატებითი დავალება. სრულად ვერ უზრუნველყვეს დადებული ხელშეკრულებებისა და განწესების შესაბამისად მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდება ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ქვანახშირის, ქიმიური, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

გაუძჯობესდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და პროდუქციის ხარისხი. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობა გასული წლის I კვარტალთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის მუშაკები ახორციელებენ წარმოების ინტენსიფიკაციის, არსებული რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების ღონისძიებებს.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ყურადღება!

საბჭო იკვლევს...

ხომ გაგიგონიათ ბრძნული თქმა: თუ გსურს ხალხს ემსახურო, ხალხისაგან ისწავლეო. სწორედ ხალხის, საზოგადოებრიობის აზრის, სურვილების, მიდრეკილებების შესწავლა და ცოდნა ბრდღვიალა ჩირაღდანივით არის, რომელიც საჯალ გზას გვინათებს და გვეხმარება სწორად გავერკვეთ ცხოვრების რთულ სიტუაციებში.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მოთხოვნა, რომ „ვიცოდეთ მთელი მასის შეგნებული აზრი“, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ჩვენს დროში. სრულიად გადაუჭარბებლად, შეიძლება პირდაპირ ვთქვათ: აგერ უკვე მეცხრე წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ შეუდგენია რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელსაც საფუძვლად და სახერკვლად საზოგადოებრივი აზრი არ ედოს.

ასე შემუშავდა, მაგალითად, 1975 წლის ნოემბერში ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. გარდა იმისა, რომ საკითხის ღრმად შესწავლისათვის ადგილებზე ცენტრალური კომიტეტის სპეციალური ჯგუფები მუშაობდნენ, რომ ფართო სოციოლოგიური კვლევა განახორციელა სწორედ იმ წელიწადს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილმა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა საბჭომ, არ წყდებოდა ამ საკითხზე მშრომელთა უშუალობით აღსავსე, მათი ფიქრების, შენიშვნებისა და წინადადებების გამომხატველი წერილების ნაკადი.

„კომუნისტის“ მკითხველებიდან არ გვეგულება არავინ, რომ ამ დადგენილებას არ იცნობდეს, არ ახსოვდეს მისი მებრძოლური, ძალზე ტევადი სტრიქონები.

დადგენილების გამოქვეყნების შემდეგაც მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა მშრომელთა წერილები. მაშინდელ ფოსტაში 80-ს მიტანებული მოხუცი ქალის აკანკალებული ხელით დაწერილი ასეთი ბარათიც იყო ბათუმიდან:

„მადლობა იმას, ვინც ეგ კარგი დადგენილება დაწერა, ვინც ამ ხნის ქალს სიბერის წლები დამიშვიდა და გამილამაზა. როგორ შეიძლება ყველაფერში წამახდურობა, ყველა გარდაცვალებულს რომ ვეყბა აკლდამას ადგამენ.

აი ჩემმა მეზობელმაც ასეთი წამახდურობით დაკრძალა თავისი მშობლები და უზარმაზარი მარმარილოს ლოდებით დაუფარა საფლავი. ვიცი, როცა მოკვდები, ჩემი შვილიც, სხვებს არ ჩამოვრჩეო, ქვეყნის ვალს აიღებდა და ისე დამკრძალავდა. ახლა იმედი მომეცა. ჩემს შვილსაც ვთხოვ, ოთახში კამოდის თავზე მარმარილოს თხელი ფილა რომ დევს, მხოლოდ ის დამადოს გულზე...“

ეს წერილი კიდევ და კიდევ იმას ადასტურებს, თუ რაოდენ გამოხატავს ზემოთ ხსენებული დადგენილება საზოგადოებრივ აზრს.

და პირიქით, სწორედ საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლობა იყო პირველმიზეზი როგორც მავნე ტრადიციების და წეს-ჩვეულებების წათამამებისა, ისე სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პერიოდის ყველა უკეთურობისა.

ასე იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავშირშიც, და ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრი კრიმინალადაც კი ითვლებოდა. ეს ნათქვამი გადაჭარბებულად რომ არავინ ჩაგვითვალოს, გვინდა 60-იანი წლების დასაწყისში მომხდარი ერთი ამბავი მოვიგონოთ. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ კომკავშირული ცხოვრების განყოფილების გამგე მაშინ სამუშაოდან მარტო იმიტომ გაათავისუფლეს, რომ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ორ წერილს, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით დაიწერა, წარუმძღვარა რუბრიკა „საზოგადოებრივი აზრის კუთხით“. მერე, ალბათ, შერცხვათ, კარგად არ გამოგვივიდაო, თუ სხვა მიზეზიც იყო, ორი თუ სამი წლის შემდეგ უფრო დიდი თანამდებობა — ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორობაც კი მიანდეს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის ისტორიულმა პლენუმმა ზღვარი დაუდო და შეწყვიტა სუბიექტივიზმის პარპაში, საზოგადოებრივი აზრის უპატივცემლობა. ოღონდ, სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი ვითარება კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდა.

ამის თავმიზეზი ადამიანების გაორების ის სამწუხარო ფაქტი გახლდათ, რაც არცთუ ისე შორეულ წარსულში მეტად აშკარად, გამოკვეთილად ჩანდა და იგრძნობოდა. ზოგჯერ ჩვენი საზოგადოების წევრს, მოქალაქეს, კომუნისტსაც კი ერთსა და იმავე ფაქტზე თუ მოვლენაზე ორი კარდინალურად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. ერთი — საჯაროდ წარმოსათქმელი, კრებაზე, წარმოებაში, ქუჩაში და ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებში, ხოლო მეორე — ოჯახსა და ვიწრო მეგობრების წრეში.

გასაგებია, თუ თავისთავად ადამიანის ასეთი გაორება რაოდენ სავალალო იყო, რაოდენ მავნე და საშიში მორალურადაც. ამიტომ სოციოლოგიური კვლევის ამ ნაწილის გათვალისწინება მეტად საჭირო იყო როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ასევე საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების საქმიანობაში.

აი, რატომ არ მოერიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ესოდენ მწვავე ზნეობრივ პრობლემას და საკითხი ერთ-ერთი პლენუმის მსჯელობის საგნადაც კი გახადა.

თითქმის ექვსი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭო. ანალოგიური ქვეგანაყოფები მოქმედებენ საოლქო და მსხვილ საქალაქო პარტიულ კომიტეტებთან, აგრეთვე ზოგიერთ სამინისტროსთან და უწყებასთან.

საბჭოს განკარგულებაშია ცნობები რესპუბლიკაში ინტერნაციონალური აღზრდის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების, კერძომესაკუთრული ტენდენციების აღმოფხვრის და სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების წინამძღვრების შექმნის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების პროექტების განხილვის მიმდინარეობის, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის მიერ სხვადასხვა რგოლის კადრების ავტორიტეტის, სტილის, პოლიტიკური, საქმიანი, ზნეობრივი თვისებებისა და პროფესიულ-თეორიული მომზადების დონის შეფასების, ლექციური პროპაგანდის, მეცნიერ მუშაკთა მოღვაწეობის პირობებისა და ეფექტიანობის და სხვა აქტუალური პრობლემების შესახებ.

საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ კვლევის მასალების დიდი ნაწილი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა მხარეს ეხება. მაგრამ სხვა, ვთქვათ, ეკონომიკური თემების შესწავლის დროსაც, იდეოლოგიური მუშაობის საკითხები რაიმე კუთხით მაინც არის ხოლმე განხილული, რაც კვლევის უკუგების და ეფექტიანობის ხარისხის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამაში კონკრეტულად და ნათლად ვრწმუნდებით ზოგიერთი გამოკვლევების შესახებ მოკლე ანოტაციებითაც კი.

საქართველოს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1976 წლის ოქტომბერში თბილისში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“. და აი, ამ კონფერენციას წინ უძღოდა საინტერესო და შინაარსიანი მოსამზადებელი მუშაობა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა საბჭომ. მის მიერ მოწყობილმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ კონფერენციის მონაწილენი უფრო ღრმად ჩაახედა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესში, მისცა მათ საშუალება განესაზღვრათ პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მთავარი ამოცანები. ეს კი, მოგეხსენებათ, რაოდენ აქტუალური და საჭიროა ისეთ მრავალეროვან რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ზოგიერთ მონაცემებს მოვიყვანთ. მაგალითად, საბჭოს მიერ ჩვენი რესპუბლიკის არარუსი მოსახლეობის გამოკითხულთა 68,4 პროცენტმა უჩვენა, რომ მათთვის რუსული ენა მეორე მშობლიურ ენად იქცა. ამასთან გამოკითხვამ ისიც დაადასტურა, რომ გაიზარდა არაქართველ მოსახლეობიდანაც იმათი რიცხვი, რომლებიც თავიანთ მეორე მშობლიურ ენად ქართულს თვლიან.

კვლევის შედეგად გამოჩნდა ზოგიერთი ნაკლიც. როგორც ცნობილია, პატრიოტ-ინტერნაციონალისტის ჩამოყალიბებაში უპირველესი როლი აკისრიათ ოჯახს, სკოლას, ინტერნაციონალური შემადგენლობის შრომითს კოლექტივებს, პრესას, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სხვა აღმზრდელობითს საშუალებებს, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას... მაგრამ ეს მდიდარი არსენალი სათანადოდ არ არის გამოყენებული.

დაძაბული, მაგრამ მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოსამზადებელ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი როგორც რესპუბლიკური საბჭოს, ისე ადგილობრივ კომიტეტებთან და სამინისტროებთან არსებული საბჭოებისა და ჯგუფების საქმიანობა.

თუ შეიძლება ზოგადად შევაჯამოთ ამ შესანიშნავი და საჭირო სიახლის ფასი, შემდეგნაირად შეიძლება გამოვხატოთ იგი: **საზოგადოებრივი აზრის საბჭო ხელს უწყობს მშრომელთა სოციალური აქტიურობის ზრდას, რადგან ადამიანები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ მათ აზრს პატივს სცემენ, იზიარებენ და პრაქტიკულადაც იყენებენ; დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაწყვეტაში ფართო მასების ჩაბმით ფართოვდება სოციალისტური დემოკრატიის საზღვრები; იზრდება მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორის გარანტია.**

თემას ფაქტებით ვერ ამოწურავ, სულისკვეთებას უნდა ერწმუნო

დიახ, ასეა. ჩამოთვლა ყველა ფაქტისა, რომელიც ხალხთან ურთიერთობას, დემოკრატიზმის განვითარებას ეხება, უბრალოდ შეუძლებელია, რადგან ხელმძღვანელობის ყოველდღიური ნებისმიერი საქმიანობა ამგვარი ფაქტების სულისკვეთებით არის გაჟღენთილი.

ბუნებრივია, რაც უფრო რთული და მასშტაბურია პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე წამოჭრილი ამოცანები, მით უფრო მეტს სთხოვენ კომუნისტებს, მთელ ჩვენს პარტიულ კადრებს. მათს ჭეშმარიტ ავტორიტეტს ქმნის არა ის პოსტი, რომელიც მიანდეს და ჩააბარეს, არამედ კომპეტენტურობა, შრომისმოყვარეობა, ადამიანთა სიხარული, მათი საზრუნავ-სანუხარის გულთან მიტანის უნარი.

საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციისათვის და მისი მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტისათვის დღეს უმთავრესია ადამიანისადმი განსაკუთრებული ზრუნვა

საკლესიასა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

18 აპრილი

პროვოკაციული ვერსია

ნიუ-იორკი. ატლანტის (ჯორჯიის შტატის) საზოგადოების უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია პროვოკაციულმა „ვერსიამ“, რომელიც გამოძიების ფედერალურმა ბიურომ წამოაყენა ამ ქალაქში ზანგი ბავშვების განუწყვეტელი მხეცური მკვლელობის მოტივების გამო.

როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი მ. ტვინბელი ამტკიცებდა, 23 შავკანიანი მოზარდი, რომელთა დასახიჩრებული გვამები იპოვეს ატლანტის გარეუბნებში, თითქოს ადგილობრივ რასისტებს კი არა არამედ... მათივე მშობლებს დაეხოცათ!

როგორც ქალაქის ზანგთა თემს მიაჩნია, გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ შეთითხნილი „ვერსია“ სხვა არაფერია, თუ არა ცდა გაამართლონ ადგილობრივ ხელისუფალთა უმოქმედობა და დაიცვან რასისტი დამნაშავენი.

მოიითხოვენ ეკონომიკურ სანქციებს

ადის-აბება. ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა და აქ ვიზიტად მყოფმა იუგოსლავიის სოციალისტური. ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ცვიეტინ მიატოვიჩმა გადაჭრით დაგმეს რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესიული პოლიტიკა. ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მოლაპარაკების დროს მხარი დაუჭირეს პრეტორიის რეჟიმის მიმართ ყოვლისმომცველ ეკონომიკურ სანქციებს, რათა შეასრულებინონ მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

კოლონეთი

კომისიის სხდომა

ვარშავა. აქ გაიმართა კომისიის სხდომა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით. კომისიამ განიხილა პარტიის წესდებაში ცვლილებათა პროექტი იმ შენიშვნებისა და წინადადებების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციისაგან შემოვიდა. კომისიის პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. კუროვსკიმ.

სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. კანიამ. მან ხაზი გაუსვა, რომ პარტიის წესდების შესწორებათა და დამატებათა პროექტის განხილვა მიმდინარეობს უჩვეულო ვითარებაში—მწვავე კრიზისის პირობებში, ქვეყნის მომავლის გამო სერიოზული შეშფოთების ატმოსფეროში. ს. კანიამ თქვა, რომ პარტია მოქმედებს უდიდესი სიძნელეების პირობებში, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში.

ჩვენ ვმოქმედებთ აგრეთვე, განაცხადა მან, ბევრი საშიშროების პირობებში, რომელსაც გვიქმნიან როგორც ინარქიის ძალები, ისე სხვა მტრული ძალები. ს. კანიას თქმით, ეს გავლენას იხდენს დისკუსიის ატმოსფეროსა და შინაარსზე, კერძოდ, იმ დისკუსიის შინაარსზეც, რომელიც დაკავშირებულია პარტიის ყრილობისათვის მზადებასთან.

ს. კანიამ ხაზი გაუსვა, რომ მთელი პარტიისათვის ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანია საკითხები: როგორი უნდა იყოს იმის გარანტიები, რომ არ დაგუშვათ დამახინჯებანი პარტიის ცენტრალურ ორგანოებში, როგორ დავაღწიოთ თავი ეფექტიანად ახლანდელ კრიზისს. მან, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობა უწინარეს ყოვლისა ეძებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ემსახურება შინაპარტიული დემოკრატიის გაღრმავებასა და განმტკიცებას. ხელმძღვანელობას საჭიროდ მიაჩნია აღდგინოს პარტიული რიგების ერთიანობა, პარტიის ძალა, იმის უნარი, რომ იმოქმედოს ეფექტიანად, განიმტკიცოს ავტორიტეტი.

ფოტოობიექტივი ამხილებს

პარიზი. საფრანგეთის საშუალო სკოლების 200 ათასზე მეტი მასწავლებელი და მოსწავლე მონაწილეობდა საყოველთაო ეროვნულ გაფიცვაში. მათ მოითხოვეს მატერიალური მდგომარეობის და შრომის პირობების გაუჯობესება, განათლების სისტემის განვითარებისათვის სახელმწიფო ასიგნებათა მომატება.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

კეისტონ-საკდესის ფოტო.

შეხვედრები ქაბულში

ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური სახბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაკ ქარმალმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე სპეციალურ პოლიტიკურ საკითხებში ხ. პერეს დე კუელიარი. როგორც ბაპთარის სააგენტო იუწყება, შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

უთანხმოებანი ვერ დაძლიეს

დამთავრდა მოლაპარაკება დელფი

დელი. აქ დამთავრდა მოლაპარაკება ინდოეთის ხელმძღვანელებსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ მ. ტეტჩერს შორის. როგორც პრესა იუწყება, მოლაპარაკება მწვავე უთანხმოებათა ვითარებაში მიმდინარეობდა. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მოლაპარაკების დამთავრებისას განაცხადა, რომ მხარეებმა ვერ დაძლიეს ორ ქვეყანას შორის მთელ რიგ საკითხებში არსებული უთანხმოებანი. ეს, მისი თქმით, ეხება, უწინარეს ყოვლისა, ამერიკული იარაღის მიწოდებას პაკისტანში და მოქალაქეობის კანონპროექტს, რომელსაც ამჟამად განიხილავს ინგლისის პარლამენტი.

როგორც ინდოეთის. ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, ი. განდის მ. ტეტჩერისათვის განუცხადებია, რომ ეს კანონი შეიცავს მთელ რიგ „დისკრიმინაციულ დებულებებს“ ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრებ ინდური წარმოშობის პირთა მიმართ, რაც ინდოეთის პარლამენტის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

სად რა მოხდა

ჭრაგედია მაღაროში

ნიუ-იორკი. ტრაგიკულად დამთავრდა ამერიკის ქალაქ კარბონდეილის (კოლორადოს შტატი) მახლობლად მდებარე „დატ-კრიკ-1“ ქვანახშირის მაღაროში მომხდარი ავარია. მეთანის აფეთქების შედეგად მიწის ქვეშ 1,5 კილომეტრ სიღრმეზე ცოცხლად დაიმარხა 15 მაღაროელი. თოთხმეტი მათგანის გვამები მაშველებმა ორი დღის შემდეგ იპოვნეს. ერთი მეშახტის ძებნა გრძელდება.

ავარიამ ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღება კვლავ მიაპყრო სამთომომპოვებელ მრეწველობაში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას.

მეშახტეთა გაერთიანებული პროფკავშირის მონაცემებით, ყოველწლიურად ამერიკის შახტებში უბედური შემთხვევების შედეგად საშუალოდ 180 კაცი იღუპება.

მყვინთავთა ნაპოვნი

ლონდონი. მყვინთავებმა დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს მახლობლად ზღვის ფსკერზე აღმოაჩინეს წყალქვეშა ნავი. იგი 1901 წელს აუგიათ და 1918 წელს ჩაძირულა.

ამ ექსპერიმენტულ წყალქვეშა ნავს „ჰოლანდ-1“-ს მართავდა 9-კაციანი ეკიპაჟი. ნავს არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, თუმცა აღჭურვილი იყო ტორპედოებით.

როგორც ცნობილია, პირველი წყალქვეშა ნავი XVII საუკუნეში ააგო ლონდონში ჰოლანდიელმა მეცნიერმა კ. ვან დრებელმა. სამხედროლოგ წყალქვეშა ნავი პირველად გამოიყენეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დროს 1861-1865 წლებში.

ვარაუდობენ, რომ „ჰოლანდ-1“ ბინას დაიდებს საზღვაო მუზეუმში.

საერთაშორისო კომენტარი

წინააღმდეგობათა ჩიხში

ლონდონი გაიმართა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მორიგი ეკონომიკური თათბირი. ამჯერად თათბირში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ფინანსთა მინისტრები და უდიდესი ბანკების ხელმძღვანელები. თათბირი მიმდინარეობდა დახურულ კარში, მაგრამ არავისთვის საიდუმლოება არ იყო, რომ „დიდი ხუთეულის“ წარმომადგენლები ინგლისის დედაქალაქში ჩაიყვანა სერიოზულმა ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც განუწყვეტლივ იწვევენ სამკვდრო-სასიცოცხლო საკონკურენტო ბრძოლის გამწვავებას.

აპრიტიკებენ ვაშინგტონის აგრესიულ ეკონომიკურ პოლიტიკას

როგორც ამერიკის ჟურნალი „ბიზნეს უიკი“ წერს, თათბირის მოწვევის საბაბი გახდა „დისკონტის განაკვეთების გამანადგურებელი ომი, რომელიც ატყდა ერთი მხრივ, შეერთებულ შტატებსა და მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპასა და „იაპონიის ქვეყნებს შორის“. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, „რომელიც ცდილობს კონკურენტებს დააკისროს თავისი ეკონომიკური პრობლემების ტვირთი დოლარის პოზიციების განმტკიცების გზით, 17,5 პროცენტამდე გაადიდა ბანკის დისკონტის განაკვეთი. როგორც ამის გამო განაცხადა დიდმა ფრანგმა მრეწველმა და ფინანსისტმა ლუსიენ ლიუმ, „ჩვენს დღეებში ეკონომიკური კრიზისის ექსპორტირება უფრო ადვილია საკუთარი ვალუტის მაღალი პარიტეტის შენარჩუნების გზით“.

ამერიკის შეერთებული შტატების ამ გამოწვევას პირველი გამოეხმაურა დასავლეთ გერმანია. მის მაგალითს მიბაძეს საფრანგეთმა, შვეიცარიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და სხვებმა, რომლებმაც შემოიღეს ომისშემდგომი დროისათვის რეკორდული დისკონტის განაკვეთები. მაგრამ ვერც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, ვერც იაპონიამ ვერ შეძლეს ამჯერად დოლარის დაძლევა. ამასთან, აამაღლეს რა თავიანთი დისკონტის განაკვეთები, მათ სიძნელეები შეუქმნეს საკუთარ მრეწველობას კრედიტის გაძვირების შედეგად, რაც გამოწვეული იყო ამ ღონისძიებით.

ლონდონში შეეცადნენ „მოერჯულებინათ“ ამერიკის შეერთებული შტატები. პრესაში შეღწეული ცნობების თანახმად, ვაშინგტონის აგრესიული ეკონომიკური პოლიტიკა სერიოზულად გააკრიტიკეს. მაგრამ, როგორც ფრანგული „ეკო“ აღიარებს, „ეს იყო ყრუთა დიალოგი“. ამერიკის დელეგაცია ურყევი დარჩა და ყველაფერი იღონა იმის

მადლი მზეჩამდგარი

მცევნისა

ნარკვევი

კოლმეურნეობის ვენახებიდან რომ გავუყვევით გზას, ჩვენ მეგზურს ტიბაანის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანს თამარ ნატროშვილს ვკითხე, ელილას ვენახი რომელია-მეთქი. აბა, თვითონ თუ მიხვდებითო, — ღიმილი ახლოდან თან მეს „გამოცდას". ძნელი იყო იმ ნაბატვებ-ნასათუთევი ვენახებიდან რომელიმეს გამორჩევა. ყოველ მათგანს აშკარად ეტყობოდა — გულით შეჰყვარებია ვაზის ძირში ჩამუხლვა მის პატრონს. გამოცდილი და ვაზს შეჩვეული თვალი კი უმალ გამოარჩევდა სხვანაირი სიფაქიზით, უჩვეულო გულისხმევითა და, ეუ გნებავთ, ქალური თადარიგიანობით მოვლილ ვენახს. დიახ, ეს გახლავთ ელილას ვენახი, ვენახი, რომელმაც საქვეყნო დიდება და აღიარება მოუტანა მის პატრონს.

...**ადრე** აეშალა საღრღილი ზეულს გაზაფხულს. ადრე ატირდა ვაზი, კვირტმაც იჩქარა გამოსვლა. თეთრად და ვარდისფრად აფეთქებულა ნუშები, ატმები, ტყემლები... ნამდვილი გაზაფხული კახეთში, ვაზის მექაში... ერთი პირობა ზამთარმა მაინც მოიცინა კუდი — აპრილის პირველ დღეებში ბარაქიანად დაბარნა კახეთში. იმხელა თოვლი მოვიდა, ჰაერში ჩამდგარი სითბო და გაზაფხულის სურნელი რომ არა, შუა ზამთარი ეგონებოდა კაცს. მაგრამ აპრილი მაინც აპრილობს...

ბევრს ახლაც კარგად ახსოვს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ელილა ჯავახიშვილის გამოსვლა, მისი საყურადღებო სიტყვა. ერთგან იგი სიღნაღლელ საბაგირო გზის გაჯიანურებულ მშენებლობას შეეხო და მშენებლობის სამინისტროს შეახსენა: „კომუნისტის სიტყვა ბუმბული არ არის, რომ ქარს გაატანო". თბილისში წასვლამდე ის სიტყვა ელილამ თავის პაპას ვეტერან კოლმეურნეს შაქრო ჯავახიშვილს წაუკითხა. პაპამ უთხრა: „მინისტრების კრიტიკა რა შენი საქმეა, რომელი რაიკომის მდივანი შენ მყეგხარ? შენ შენს ვენახსა და სახლ-კარს მიხედე, ღორზე აკვანი მოამზადე და გასულუმლა იშრომე, თორემ ქიზიყელი ბიჭები იტყვიან, ავი ვინმე ყოფილა და სახლში არავინ შეგიშვებსო".

სენანდაქეულნი მისჩერებოდნენ ტელევიზორს თებრო ბებია და შაქრო პაპა, უსმენდნენ თავიანთი საამაყო შვილიშვილის გამოსვლას კომუნისტება დიდ ფორუმზე. თბილისიდან დაბრუნებულს კი მაინც დაუტატანა პაპამ: „გაკენწლე მინისტრები არა? აკი გითხარი, ეგ შენი საქმე არ არის-მეთქი!" ბებია კი მაინც გამოეკითხა: „აბა სანამდე უნდა აშენონ სურამის ციხესავით? ძალიან კარგად მოიქეცი, შვილო, ზოგჯერ რომ არ მუშაობს, აბა რა ჰგონიხარ!"

1977 წელს დაამთავრა ელილა ჯავახიშვილმა საშუალო სკოლა და თავისი სოფლის ზვრების მიაბარა. ამოცანა ერთობ რთული გახლდათ. მეათე ხუთწლედის ორი წელი უკვე გასული იყო, დარჩენილ სამ წელიწადში ხუთწლიანი გეგმა უნდა შესრულებულიყო. თავი არ დაუზოგავს — გაფურჩნა, შეუყელა, „ცა გაუხსნა" ვაზს, ზრუნვითი შეაცალა ზედმეტი ფოთოლი, ასხურა წყალი და შაბიამანი...

ვინ იცის, რამდენჯერ შეგებებია ალაზნის დიდებულ ველზე მზის ამოსვლას უკვე დაღლილი. ოდითგან მამაკაცისთვის მიჩნეული საქმე ქალმა გაითავისა და მამაკაცებს ტოლი არ დაუღია. ხუთწლედის დარჩენილ სამ წელიწადში გაპიროვნებული ვენახიდან გეგმით გათვალისწინებული 61 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 171 ტონა მზეჩამდგარი ყურძენი ჩაბარა, ხუთწლედი სამ წელიწადში შეასრულა და სრულიად ახალგაზრდამ საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატობა მოიპოვა, მოწინავე მევენახის მიხეილ მექვევრიშვილის პრიზიც დაიმსახურა და მკერდი სახალხო შრომითი მიღწევების გამოფენის ოქროს მედლითაც დაიმშვენა. სულ ახლახან იგი საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს. ყრილობის დღეებში კი ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს. ამ წელს იგი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტიც გახდა.

შეუძლებელი იყო აუღელვებლად მოესმინა ელილას (და არა მარტო ელილას) სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული საბოლოო სიტყვა.

„კარგად თქვა ამხ. ლ. ო. ჯავახიშვილმა — ჩვენმა ახალგაზრდა მევენახემ, იმ თაობის წარმომადგენელმა, რომელიც თითქოს ყრილობაზე რესპუბლიკის ხვალინდელი დღიდან მოვიდა. იგი გულწრფელ გაოცებას გამოთქვამდა: მთავრობის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა როგორ იქნებაო? ეს არავის ეპატიება. ჩვენს ბრიგადაშიც კი ვერ ვურიგდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც მიღებულ გადაწყვეტილებებს არ ასრულებენო.

დაახლოებით ასე თქვა მან და კიდევ დასძინა: კომუნისტის სიტყვა ბუმბული კი არ არის, რომ ქარს გაატანო. რამდენი ეუმპარიტად ხალხური სიბრძნეა ამ სიტყვებში, არა? სიტყვა ბუმბული არ არის, რომ ქარს გაატანოო. ამით მას უნდოდა ეთქვა: „კომუნისტის სიტყვას განსაკუთრებული წონა უნდა ჰქონდეს!"

...**ზღვარი** არ სცოდნია თურმე სიყვარულს! ვაზთან ალერსი არ ეღლის ლეილას. როცა ვინმესთან საუბრობს, ვაზით იწყებს და ვაზით ამთავრებს.

— სულ პატარა იყო, ერთი ციცქნა, — იხსენებს ლეილას მამა ოთარ ჯავახიშვილი, — მე და ჩემს დედაკაცს ვენახში რომ გამოგვყვებოდა ხოლმე. ვაზს ხეირიანად ვერც კი სწვდებოდა, ფეხის წვერებზე დგებოდა, ხანაც შეტტებოდა და ისე „ფურჩნდა". ხშირად სამამულე რქაც შეუცლია, მაგრამ არ გავწყრომივარ, მიწისა და ვაზის სიყვარულს ვამჩნევდი და იმიტომ.

შარშან ლეილას 3,6 ჰექტარ ფართობზე 339 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღო, ფაქტობრივად მიიღო 837 ცენტნერი, ახლა 3 ჰექტარ ფართობს უვლის, გეგმები ჯერ არ მიუციათ, თავად მას კი გადაწყვეტილი აქვს წელს 90 ტონა ყურძენი მიიტანოს სახელმწიფო მარანში.

ბევრს მიაღწია ლეილამ. ტყუილად ეგონა, საგმირო ასპარეზისათვის გვიან დავიბადე, საგმირო საქმენი არაგველებმა, ხერხეულიძეებმა, გამცემლიძეებმა და გელოვანებმა ამოწურესო. დიახ, შრომისა და სწავლის გმირებმა ხუთწლედები შეასრულეს, კოსმოსი დალაშქრეს, ციდან ვარსკვლავები ჩამოიღეს, მაგრამ არ უთქვამთ სიმღერა. ყველა — ერთ ლამაზ და ტკბილხმოვან სიმღერას ლეილა ჯავახიშვილი მღერის...

ფანჯრიდან წითელი „ჟიგული" დავინახე. შარშანდელი გმირული გარჯის საფასურად 7.000 მანეთი შრომის დამატებითი ანაზღაურება მიიღო და მანქანა შეიძინა. მართვა თუ იცი-მეთქი, — კაცმა. ბაგე ღიმილმა გაუპო, თვალით მანიშნა, კი, თან შეფარვით მამისკენ გაეპარა მზერა.

— ქალი და მანქანა ვის გაუგონია! ქალს საჭესთან ჯდომაზე უფრო აკვანთან ჯდომა უხდება. ამისათვის გაუჩენია იგი ბუნებას!...

დიახ, აკვანსაც დაარწევს ლეილა, შვილებსაც გაზრდის, ისთანავე სახელოვანს, თვითონ რომ ეკადრება. სახელი კი ერთი მწერლის თქმისა არ იყოს, „ჭკვიან ქალს ჰგავს: ძვირად მოვა, მაგრამ თუ მოვიდა, აღარასოდეს მიგატოვებსო".

მერე კი... მერეც და მანამდეც კვლავ ეცდება თავი არ შეირცხვინოს და XXVII ყრილობაზე ამაყად მოახსენოს ყველს, რომ შესწევს ძალა ქადილისა.

ნანა ჯოხარიძე.

სურათზე: ლეილა ჯავახიშვილი.

ამიერკავკასიის ისტორიკოსთა სამეცნიერო სესია

60 წლის წინათ ვ. ი. ლენინმა წერილით მიმართა „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს", რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მელიორაციას და ელექტრიფიკაციას მხარის გარდაქმნისათვის. ამ მოვლენას, რომელმაც დასაბამი მისცა ამიერკავკასიის ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნას, მიეძღვნა 17 აპრილს გამართული სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტების ფილიალების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების სამეცნიერო სესია.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. სტურუამ.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების პროფესორების ვ. მერკვილაძის, ა. გუსეინოვის, გ. სიმონიანის, მ. გიოევის, ვ. ი. ლენინის წერილში აღნიშნული კავკასიის ყველა რეგიონის მეცნიერების წარმომადგენელთა მოხსენებანი. მეცნიერებმა კონკრეტული ისტორიული მასალით გააშუქეს კომუნისტური პარტიის ორგანიზატორული როლი საბჭოთა კავკასიის ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის აყვავების უზრუნველყოფის საქმეში.

(საქინფორმი).

მეცნიერული კვლევის ჰორიზონტები

19 აპრილი საბჭოური მეცნიერების დღეა. ეს არის მკვლევართა მილიონიანზე მეტი არმიის დღესასწაული, რომელთა შრომა უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. საბჭოთა მეცნიერები სწავლობენ სამყაროს სივრცეებსა და მატერიის აგებულების საიდუმლოებას, მონაწილეობენ მსოფლიო ოკეანისა და ატმოსფეროს შესწავლის გლობალურ ექსპერიმენტებში. საბჭოთა მეცნიერების ზოგიერთ უკანასკნელ მიღწევას გვაცნობენ საკავშირო კორესპონდენტები.

● ●

თითქმის კოსმოსური სიცივე-ცელსიუსით მინუს 269 გრადუსი ტემპერატურის თხევადი ჰელიუმი მოქცეულია ტურბოგენერატორის როტორში, რომლის გამოცდა წარმატებით დაამთავრეს **საბჭოთა კავშირის ელექტრომანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** სპეციალისტებმა. 20 ათასი კილოვატი სიმძლავრის ამ ახალი ტიპის ელექტრული მანქანის საცდელ-სამრეწველო ნიმუში აგებულია და მოქმედებს ზეგამტარობის ეფექტის გამოყენებით. იგი არა მარტო დენს მისცემს ლენინგრადის ენერგოსისტემას, არამედ ექსპერიმენტული მოდელი გახდება მომავლის სუპერგენერატორების შექმნისას საინჟინრო გადაწყვეტათა ძიების დროს.

ზედაბალი ტემპერატურების დროს, რომლებიც ახსოლუტურ ნულს უახლოვდებიან, ზოგიერთი ლითონი კარგავს ელექტრულ წინააღმდეგობას და გადადის ზეგამტარ მდგომარეობაში. ამ ეფექტის გამოყენება გენერატორებში საინტერესო პერსპექტივებს სახავს: შემცირდეს მანქანების ზომა-წონა და ამასთან ამაღლდეს მათი მარგი მოქმედების კოეფიციენტი.

ახალი გენერატორის როტორი წარმომადგენს კრიოსტატს, რომელშიც თხევადი ჰელიუმის გარემოში მოთავსებულია ნიობიუმისა და ტიტანის შენადნობებისგან დამზადებული აგზნების გრაგნილი. გამოცდამ დაადასტურა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ამგვარი აგრეგატები 2-3-ჯერ უფრო მსუბუქი იქნება, ვიდრე ახლა.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლოიდური ქიმიისა და წყლის ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს დანადგარი, რომელსაც უნარი შესწევს სამრეწველო ნარჩენებით გაჭუჭყიანებულ წყალს მიანიჭოს თავდაპირველი სიწმინდე და ვარგისიანი გახადოს იგი შემდგომი გამოყენებისათვის. დანადგარში რეაგენტად გამოყენებულია სპეციალურად შერჩეული მიკროორგანიზმები. დღეღამის განმავლობაში აგრეგატი წმენდს ხუთი ათას კუბურ მეტრ წყალს.

პირველი ასეთი დანადგარი უკვე ამოქმედდა ჩერნიგოვის გაერთიანებაში „ქიმბოკო". ანდის ბოჭკოს წარმოებისას აქ გამოყენებული წყალი შეიცავს ესოდენ ზზამიან ნაერთებს, რომ მისი უმნიშვნელო კონცენტრაციებიც მთლიანად გამორიცხავს წყალსატევში ჩამონადენის ჩაშვების შესაძლებლობას.

ახალი ტექნოლოგიით ეს ჩამონადენი შედის მიკროორგანიზმებიან კოლონაში, შემდეგ კი საწყდომებში. უკვე ჩვეულებრივი მეთოდებით საბოლოო გაწმენდის შემდეგ ისინი შეესაბამებიან უზუსტეს სანიტარიულ მოთხოვნებს.

ამის შედეგად ერთდროულად წყდება გარემოს დაცვის, მტკნარი წყლის ხარჯვის მნიშვნელოვანი შემცირების პრობლემები და იზრდება ტექნოლოგიური მოწყობილობის სამსახურის ხანგამძლეობა. ხოლო ჩამონადენებიდან მიღებული ეგრეთწოდებული სიხისტის მარილები აზოტმჟავა სასუქებად გადამუშავდება.

სამეცნიერო-კვლევითმა ხომალდმა „დიმიტრი მენდელეევმა" ინდოეთის ოკეანეში რეისის დროს დიდი მეცნიერული აღმოჩენა გააკეთა. მისმა ავტორებმა — **სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის** თანამშრომლებმა — გააანალიზეს ინსტრუმენტული გაზომვების გზით მათ მიერ შეკრებილი დიდი სტატისტიკური მასალა. მათ დაადგინეს, რომ ერთმანეთზე განლაგებული 10-30 მეტრი სიზრქის წყლის ცალკეული ფენები მოძრაობენ სხვადასხვა სიჩქარით და სხვადასხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო მიმართულებით.

მოძრავი ფენები განსხვავდებიან ტემპერატურით, სიმლაშით, სიმკვრივით.

აღმოჩენამ პრინციპულად შეცვალა წარმოდგენა ოკეანეში სხვადასხვა სახის მოძრაობის სტრუქტურისა და ურთიერთმოქმედების, ზედაპირიდან მის სიზრქეში ენერგიის გადატანის, წყლის მასებში ბგერის გავრცელების კანონზომიერებათა შესახებ. კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავხვეწოთ წყალქვეშა აკუსტიკური ლოკაციის მეთოდები. ახალი მოვლენა უნდა გავითვალისწინოთ ოკეანეში ტოქსიკური და გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების გავრცელებასთან, მასში პლანქტონისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების განაწილებასთან დაკავშირებულ გაანგარიშებაში.

მინსკის მოტორის ქარხნის ტრაქტორის ძრავის მოტორესურსმა მიაღწია რეკორდულ დონეს — 8 ათას საათს, ამასთან მესაზედითთ გაიზარდა მისი სიმძლავრე, წონა კი იგივე დარჩა.

ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული ტრაქტორის „ბელარუსის" ხანგამძლეობის გადიდება შეძლეს **ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის მანქანების საიმედოობისა და ხანგამძლეობის პრობლემების ინსტიტუტის მეცნიერებმა** და **ქარხნის კონსტრუქტორებმა.** ფიზიკური დიაგნოსტიკის მეთოდებით მათ შეისწავლეს დიდი დატვირთვით მომუშავე დეტალების გატეხვის მიზეზები. დაძაბულ ლითონში მიმდინარე სიღრმული პროცესების ცოდნამ მათ საშუალება მისცა ეპოვათ ტექნიკური გადაწყვეტა. ტრაქტორის საიმედოობის გადიდებისათვის მუხლა ლილვების დამზადების ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლის შემდეგ ხანგამძლეობის ვადა 50 პროცენტით გაიზარდა, საწარმომ კი წელიწადში 800 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

ლაზერის სხივმა, რომელიც გადაჭიმულია ლვოვის ძველ უბნებზე, სატელევიზიო კავშირი დაამყარა **ლვოვის უნივერსიტეტისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთის სამეცნიერო ცენტრის** შენობებს შორის. ამ ექსპერიმენტული ხაზის შექმნისას უმაღლესი სასწავლებლის არაწრფივი ოპტიკის კათედრის თანამშრომლებმა გამოიყენეს საბჭოთა მეცნიერი ფიზიკოსების მიერ ახლახან აღმოჩენილი მოვლენა — ელექტროგირაცია.

მისი არსი ის არის, რომ ელექტრული ველის ზემოქმედებით წარმოიშობა და იცვლება კრისტალში გამავალი სინათლის პოლარიზაცია. მისი ინტენსიურობის, ფერადი გამის, ფაზისა და სივრცული მიმართულების მართვა შესაძლებელია. ეს საშუალებას იძლევა სინათლის ერთ ლაზერულ კონაში გაერთიანდეს ათობით სატელევიზიო, ათასობით სატელეფონო და ვიდეო-სატელეფონო არხები და გადაიცეს სიგნალები განუსაზღვრელ მანძილზე.

კავშირის სხვა ცნობილი ლაზერული სისტემებისაგან განსხვავებით ახალ სისტემაში გამოყენებულია იაფი ხელოვნური კრისტალები, გამარტივებული ოპტიკური და ელექტრონული კვანძები, გაუმჯობესებულია გამოსახულების ხარისხი. ეს ახალ შესაძლებლობებს იძლევა ვიდეოტელეფონიის განვითარებისათვის.

(საკადესი).

19 აპრილი საბჭოური მეცნიერების დღეა

გამსვლელი სხდომა

ბათუმი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი გაფართოებული სხდომა, რომელმაც ცხადყო რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრის შეუნელებელი ყურადღება აჭარის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებისადმი. სხდომაზე მოწვეული იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

სხდომაზე განიხილეს აჭარაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების პერსპექტივები, ხულოს რაიონში მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები, ავტონომიური რესპუბლიკის მთის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის შემდგომი განვითარების, თამბაქოს წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.



ახალი მიღწევებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს **საქართველოს მეცნიერები.**

აქტუალურ მეცნიერულ პრობლემებზე მუშაობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჭუთაოელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები.

მეტალურგიის ინსტიტუტის ფხვნილის მეტალურგიის განყოფილებაში მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ახალი დიდეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და მრეწველობაში დანერგვისათვის.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისათვის ახალი მიმართულებაა ლიგანანების კვლევა. ეს საინტერესო და იშვიათი კლასის შენაერთები უხვად არის ჩვენში გავრცელებულ მცენარეებში. მიღებულია რამდენიმე ახალი ლიგანანი, რომლებიც ეფექტიანი სამკურნალო პრეპარატების მიღების პერსპექტივას ქმნის.

სურათებზე: მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომელი ო.



მეცნიერთა ლაბორატორიებში

ძიება დროის კარნახით

ნატრაძე ლაბორატორიაში (ზემოთ); ნედლეულის ქიმიურ-მეტალურგიული გადამუშავების ლაბორატორიის გამგე ზ. მირიჯანაშვილი და ჯგუფის ხელმძღვანელი ა. ცურკავა განსაზღვრავენ ფხვნილის მეტალურგიის მეთოდებით მიღებული ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს; ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დ. ტურაბელიძე, ფარმაკო-ბოტანიკის განყოფილების გამგე თ. მარდალეიშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. სიხარულიძე და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. მიქაია მსჯელობენ ახლად მიღებული ლიგანანების მედიცინაში გამოყენების პერსპექტივებზე.

მ. დათიკაშვილისა და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ერთი წერილის კვალდაკვალ

სოფელი ასე არ აშენდება!

გამარჯობათ თქვენი, ლეჩურელებო, „კეთილი იყოს ჩვენი ფეხი თქვენს ადგილსამყოფელში. დაუპატიჟებელი სტუმრები არ გეგონოთ, თქვენ რომ გვწერდით, „ამოდით ჩვენთან სოფელში, ნახეთ, რა ყოფაში ვართო", იმიტომ გეახელით, თან გაახელით თქვენი სოფლის თავკაცები — ფშავლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ოსიკო ციხისთავი და კოლმეურნეობის გამგეობის ახალი თავმჯდომარე მიხეილ რამაზაშვილი. ჰოდა, ვისაუბროთ გულახდილად, შინაურულად, თქვენს გაჭირვებას გავიზიარებთ, საშველსაც დავუწყებთ ძებნას, მაგრამ უხეირო სტუმრობაში ნუ ჩამოგვართმევთ, თუ თქვენ მიმართაც გვექნება სასაყვედურო.

ჰო, მართლა, მშვიდობაში მოგახმაროთ ახალი ხიდი მდინარე სტორზე. მართალი გითხრათ, ძალიან დაუშვენებია თქვენი სოფლის შემოსასვლელი, კარგად შეუხამებიათ მშენებლებს რკინა-ბეტონის ხიდი თქვენ ირგვლივ ავარდნილი ტყისა და ამ შმაგი მდინარისათვის. ეს ცხვარ-ძროხა, ღორი და ფრინველი, თქვენი სოფლის მიდამოებში ასე მრავლად რომ ტრიალებს, თქვენი საკუთრებაა და ესეც მშვიდობაში მოგხმარებოდეთ.

ეს გარედანო, თქვენ ამბობთ, შიგნით, სოფელში შემოდით, იკითხეთ ჩვენი გაჭირვებაო. ლეჩური მთის სოფელია თელავის რაიონში, იგი მდებარეობს ფშაველ-ომალოს გზაზე თელავიდან 47 კილომეტრზე, სოფელში 83 კომლია და გაერთიანებულია სოფელ ფშავლის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში, შედის ფშავლის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში.

ლეჩურში საუკეთესო პირობებია მესაქონლეობის განვითარებისათვის. მისდევენ მიწათმოქმედებასაც. ჩვენმა ბავშვებმა არ იციან, რა არის რადიო და ტელევიზორი, ახალგაზრდები ფეხბურთის საყურებლად ზოგი 7 კილომეტრზე, ფშაველში მოვდივართ, ზოგიც 40 კილომეტრზე თელავშიო. ჩვენს სოფელში ათაბაბას დროს აშენებული კლუბი, რომელიც ბოსელს უფრო ჰგავდა, მაგრამ მაინც გვემსახურებოდა, 3 წლის უკან თავზე დაგვენგრა, ახლის აშენებას არ ვჩივით, მის აღდგენაზე და განახლებაზე არავინ ფიქრობსო. მას შემდეგ აღარც კინოფილმი უჩვენებიათ და აღარც რაიმე მასობრივი ღონისძიება ყოფილა. აი ეს ბიბლიოთეკის შენობაც, ხომ ხედავთ, რა ბუდრუგანა და ნესტიან შენობაშია მოთავსებული, სინათლეც კი გადაგვიჭრეს მეხანძრეებმა მისი ავარიული მდგომარეობის გამო. ბიბლიოთეკის გამგე თინა ბეროშვილი თვითონ დღის სახურავზე და კრამიტებს ასწორებს, რომ როგორმე შეაკავოს წვიმის წყალი და წეგნები ნაწილობრივ მაინც გადაარჩინოს დაზიანებისაგან. ახალგაზრდებს ერთი ფრენბურთის მოედანი ბჭქონდა, ისიც ჩვენმა თანასოფლელებმა გარსო ბილიაშვილმა საკარმიდამო ნაკვეთად მიითვისა. ფიჭკულტურის მეთოდისტი, კოლმეურნეობაში რომ გვყავს, ბესო სამადაშვილი ჩვენთან არ ამოდის, ან რა უნდა გააკეთოს, რომ ამოვიდეს — ოთხი ჩვენ არა გვაქვს და მოედანი. ასე, რომ არავითარი სექციის სასოფლო საბჭოს ჩვენთან არ შეიძლება. ახალგაზრდების ყოველგვარი შეზვედრა უგულგულოა, უმიზნო საუბრით და შემდეგ სმით მთავრდება, სხვა რა გაკეთოთო. ახლა სასმელ წყალს არ იკითხავთ? ოდესღაც ჩვენი სოფლის ყოფილმა თავკაცებმა ცუდად აშენებული წყალსადენი მიიღეს და სათავე-ნაგებობა არც გახსენებიათ. ღია მდინარიდან მილებში პირდაპირ შედის წყალი. ზოგჯერ ქვეწარმავლები და, ბედნიერ შემთხვევაში, თევზები მოსდევს წყალს. ფულავის რაიონის სანეპიდსადგურმა უთვალთვალერ შეამოწმა ჩვენი სასმელი წყალი და გაგვაფრთხილა, სასმელად არ გამოვიყენოთ, მაშ, რა უნდა ექნათ? — კითხულობს ყველა.

თქვენი პრეტენზიები სამართლიანია და საფუძვლიანი. მართლაც, რა უნდა გასჭირვებოდა სამინისტოს თელავის კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს, რომ რადიოქსელი მოეწყო? არც (როგორც თქვენ ამბობთ) ჩამოწერილი და სხვისთვის უვარგისი ტელეანძის შეძენა უნდა იყოს ძნელი, რომ სოფელში ტელეგადაცემები მიიღოთ. კლუბიც უნდა ქქონდეთ. როგორ შეიძლება, დღევანდელ პირობებში სოფელში კინოფილმებს არ უჩვენებდნენ, არ იყოს გაშლილი კულტმასობრივი მუშაობა? ბიბლიოთეკის შენობაც უკეთესი უნდა იყოს, უნდა ქქონდეთ სამკითხველო დარბაზიც.

სპორტული მოედნებისა კი რა მოგახსენოთ! კარგად გითხრათ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, „კაცი წყალში ჩავარდა და ღმერთსა სთხოვა შველა. ღმერთმა უთხრა—ხელი გაანძრიე და გიშველიო". თქვენ დალოცვილებო, სპორტული მოედნების გაკეთებას ვინღა გიშლით? ეგ ხომ თქვენც შეგიძლიათ?

სასმელ წყალზე და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში პირდაპირ შედის წყალი. ზოგჯერ ქვეწარმავლები და, ბედნიერ შემთხვევაში, თევზები მოსდევს წყალს. ფულავის რაიონის სანეპიდსადგურმა უთვალთვალერ შეამოწმა ჩვენი სასმელი წყალი და გაგვაფრთხილა, სასმელად არ გამოვიყენოთ, მაშ, რა უნდა ექნათ? — კითხულობს ყველა.

თქვენი პრეტენზიები სამართლიანია და საფუძვლიანი. მართლაც, რა უნდა გასჭირვებოდა სამინისტო თელავის კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს, რომ რადიოქსელი მოეწყო? არც (როგორც თქვენ ამბობთ) ჩამოწერილი და სხვისთვის უვარგისი ტელეანძის შეძენა უნდა იყოს ძნელი, რომ სოფელში ტელეგადაცემები მიიღოთ. კლუბიც უნდა ქქონდეთ. როგორ შეიძლება, დღევანდელ პირობებში სოფელში კინოფილმებს არ უჩვენებდნენ, არ იყოს გაშლილი კულტმასობრივი მუშაობა? ბიბლიოთეკის შენობაც უკეთესი უნდა იყოს, უნდა ქქონდეთ სამკითხველო დარბაზიც.

სპორტული მოედნებისა კი რა მოგახსენოთ! კარგად გითხრათ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, „კაცი წყალში ჩავარდა და ღმერთსა სთხოვა შველა. ღმერთმა უთხრა—ხელი გაანძრიე და გიშველიო". თქვენ დალოცვილებო, სპორტული მოედნების გაკეთებას ვინღა გიშლით? ეგ ხომ თქვენც შეგიძლიათ?

სასმელ წყალზე და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გახსნაზე ისევ სოფლის თავკაცებმა უნდა იზრუნონ, ქუჩების განათვის საკითხს მოგვარებაც მაგათ უნდა ითავონ.

უსაშველო არაფერი არ არის, ყველაფერს მოერევა და ყველაფერი გაკეთდება — ამას ასე იმედიანად იმიტომ ვამბობთ, რომ თელავის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა რაფდენიმე დღის წინათ იმსჯელა თქვენს სოფელზე და კარგი გადაწყვეტილებაც გამოიტანა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მთის სოფლებს, მაგრამ პირდაპირ თქმა სჯობს — არც თქვენა ხართ მართლები საზოგადოების წინაშე. თქვენ მიმართ გამოთქმული საყვედურები სამართლიანია და მათი უარყოფა არ შეიძლება რატომაო?!

თქვე კაი ხალხო, თქვენი სოფლის მცხოვრებლებით ფშაველის კოლმეურნეობის ერთი აგროგანყოფილება კომპლექტდება. აკი განყოფილების გამგედ თქვენივე თანასოფლელი კობე ბურდიაშვილიც დანიშნეს. ფაქტობრივად რა გამოდის? ერთი ბრიგადაა შექმნილი, რომელსაც კომკავშირელი ოლეგ წელაური ხელმძღვანელობს. ხომ გიიგეთ, რა თქვა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ? „10 კაცი- გამოდისო სამუშაოდ. მომდინარე საგაზაფხულო სამუშაოებში მარტო მათი ბრიგადა მაშორჩა, ჩამორჩენა სხვა ბრიგადების დახმარებით დავძლიეთო". ჩვენ ხომ ვეძებთ თქვენთან ერთად თქვენი სოფლის ისეთ ახალგაზრდას, რომელსაც კოლმეურნეობაში სავალდებულო მინიმუმი ექნებოდა გამომუშავებული. ვეო ვნახეთ ასეთი. 257 კაციდან 10 კაცი?! სად არიან დანარჩენები? სოფლიდან გარბიან პირობები რომ არა აქვთო. ტყუილია ეგ. ყველა რომ გარბოდეს სოფლიდან, ამ ურიცხვ პირუტყვს ვინღა მოუვლიდა? ხომ თვითონვე ხედავთ, თითოეული სახლის წინ პირუტყვის რაფდენი სადგომია აშენებული, თანაც ისე, უწესრიგოდ, რომ ანტისანიტარიას თვითონვე ქმნით. ჰო, მართალია, სად მიგყავთ ეს პირუტყვი? სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ თქვენი თანდასწრებით თქვა: 10 პროცენტსაც არ აბარებენო საბელმწიფოს. არც სასოფლო საბჭოა მართალი, ზუსტი აღრიცხვა რომ არა აქვთ. 109 სული ძროხა, 857 ღორი, 302 სული ცხვარი არსებითად არსებულს ნახევარიც არ იქნება, თქვენთვის ცნობილია სოციალისტური საზოგადოების პრინციპი, საზოგადოებისგან უნდა მოვითხოვოთ იმის შესაბამისად, რასაც ვქმნით მისთვის.

ლეჩურელებო, ასე დავამთავროთ ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა, ჩავეჭიდოთ ხელი ხელს და ერთიან

ოთარ ჭელიძე

ორი ახალი ბალადა

ჯანყის ბალი

ხმლებით გადაბელილ ამ ბალს
აღარ ეძახიან ყაბახს,
სადაც სიკვდილს ფართო ლულა
ტრიბუნისკენ მოემართა,
როცა მიზნად დანთებულა
დროშა ქართველ პროლეტართა.
და შინ ველარ დატეულა,
გაქცევია დედის ჩიჩინს,
ჯანყის ზღვაში გარეულა
ორი თბილისელი ბიჭიც.

დაჭრილ კომუნართა ძახილს
და სისხლს — ყვავილებზე დაღვრილს
წყვილი სუნთქვაც შერევია
მწვანე ხეივანში იმ წამს,
ოდეს კალთა შეღებვია
ცხელდრებმიმოფენილ მიწას.

ბიჭებს მოუხდიათ ვალი,
მკვდრები უზიდიათ მხრებით,
მაგრამ კაზაკები მთვრალი
გამოსდევნებიან ხმლებით.
ორი მეგობრიდან მაშინ
ერთი გაქცეულა და შინ
ცივად დახვედრია დედა—
უტეხელთა ძველთა მოდგმის:
— წახველ მეგობართან ერთად?
მეგობართან ერთად მოდი!—
უთქვამს მას და ჯანყის ბაღში
გაუბრუნებია ვაჟი.

დაჭრილ კომუნართა ძახილს
და სისხლს ყვავილებზე დაღვრილს
შორი კვნესაც შერევია
მწვანე ხეივანში იმ წამს,
ოდეს კალთა შეღებვია
წითლად გაუიებულ მიწას...

დიდი მოლოდინის ბოლოს
ესღა დასცდენია მხოლოდ:
— ბიჭო, მეგობართან ერთად
რად არ დაბრუნდიო, რატომ?—
როცა წარსდგომია დედას
შვილის მეგობარი მარტო.

გვიან გამხელილი ბ ა ლ ა დ ა

ჭალა სისხლით გადახრამა
და სარდალმა ცხენმარდმა,
ბევრის დილა დააღამა,
მთანი დადგა ცხედართა.
წყობილ რაზმთა ამრევ-დამრევს
ხმლად უჭრიდა სახელიც,
შიშით ძრავდა არემარეს
რისხვა სახენახმლევის.
ოღონდ, არა, დიდ მოურავს
დღეს ეწერა სხვა ბედი,
გარს არ ევლო დიდებულად
ძლევის შარავანდედი.
— ჰო, სიკვდილი სააკაძეს! —
ჯარს მავანმა დასჭყივლა;
სარდალს შუბი სამჯერ ჩასცეს;
ცას ახედა დაჭრილმა.
გარეშემო გარდანქეშანს
შემოერტყნენ იმწამსვე,
ოდეს მკვდარი გადაეშვა
შავ რაშიდან მიწაზე.
და ჩასძახეს ძირსგაშხლართულს:
— რახან ჩვენი აღარ ხარ,
არ დაგაყრით მიწას ქართულს,
გიპატრონოს ალაშმა!
შეწყდა ბრძოლა და საკაცე
აკვანივით დაირწა.
მაგრამ, განა საკაძე,
მათ წინარე სხვა იწვა.
სხვა მხედარი შერჩათ ხელში —
სარდლის ძველი ძმობილი —
ძმადნაფიცის სამოსელში
სახმლოდ გამოწყობილი.
სულ სხვა იწვა მათ წინაშე...
და შორს, განმარტოებით,
ქართლის მოურავის რაში
ჭალას ბდღვნიდა ტორებით.
იწვა სიკვდილმორეული,
დიდი, როგორც მთის ჩრდილი,
საკაძის ორეული—
დავით გოგორიშვილი.
და ბალადა არ მართებდა,
თავგანწირვა რომ არა,
რა ამბავიც ბაზალეთთან,
ძმათა ომში მომხდარა.



სახმს იცვლის რუსთაველის მოედანი

უკვე ორი თვეა სასტუმრო „ივერიის“ წინ დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. აიღეს რუსთაველის გამზირის № 37 სახლის ეზოში მდგომი ორი ამორტეზებული ნაგებობა. ახლა აქედან თვითმცლელები ძველი სახლის ნანგრევებს ეზიდებიან: ხიდმშენის სამმართველოს № 39 რაზმს ესტაკადის მშენებლობისათვის ხიმინჯები მოაქვს.

სასტუმროს წინ კი გვიროაბმშენებლებს სატრანსპორტო გვირაბი გაპყავთ.

მაინც რა კეთდება აქ, სამუშაოების დამთავრების შემდეგ რა ხახეს მიიღებს მოედანი ეს ტერიტორია? ამ საკითხის გასარკვევად ვესაუბრეთ რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელს, თბილისმაღალპროექტის ინსტიტუტის VII არქიტექტურული სახელოსნოს მთავარ არქიტექტორს **ოთარ კალანდარიშვილს.**

რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორის ოთარ კალანდარიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მისი პროექტით განხორციელებულ ნაგებობებს შორის მარტო სასტუმრო „ივერიისა“ ანდა ნუკუბიძის პლატოზე შეფენილი მიკრორაიონის დასახელება რად ღირს. რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტზე კი იგი კარგა ხანია მუშაობს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ ძირითადად რა მიზანს ემსახურება მოედნის რეკონსტრუქცია, მან ასეთი პასუხი გაგვცა.

— მოგეხსენებათ, დღეისათვის რუსთაველის პროსპექტზე მეტისმეტად დიდი მოძრაობაა. ეს გასაგებიც არის. აქ ხომ ძირითადად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანია თავმოყრილი. და აი, პროსპექტის განტვირთვის მიზნით, ამავე დროს თბილისის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად გადაწყდა შექმნილიყო რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის ისეთი პროექტი, რომელიც გაითვალისწინებდა თანამედროვე ქალაქის ცენტრის ყველა ძირითად მოთხოვნილებას. შემუშავდა რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც განიხილეს როგორც სახმშენმა, ისე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. გამოთქვა მრავალი საინტერესო მოსაზრება, რომლებიც ეხებოდა რეკონსტრუქციის მთავარ იდეას. ეს მოსაზრებანი გავითვალისწინეთ, რისთვისაც საავტორო ჯგუფის სახელით კეთილ მრჩევლებს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო.

— თქვენთან ერთად საავტორო ჯგუფში ვინ არიან?

— გიზო ფოცხიშვილი, თენგიზ ჭანჭალიშვილი (კონსტრუქტორი); ახალგაზრდა არქიტექტორები ირაკლი მოსეშვილი, ოთარ იაგორაშვილი, მანანა ბალარჯიშვილი და ლუიზა გიორგობიანი. საინჟინრო საკითხებს განაგებს ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი გიორგი ჩუბინიშვილი, ბევრს გვეხმარება ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი თემო კანდელაკი. დიდ დახმარებას გვიწევენ ქალაქის მთავარი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი და სახმშენი.

— ახლა უშუალოდ მოედნის რეკონსტრუქციაზე, რა სივრცეს დაიკავებს იგი?

— როგორც თავიდანვე მოგახსენეთ, რუსთაველის პროსპექტის განტვირთვის მიზნით უნდა გაკეთდეს ზედა და ქვედა პარალელური გზები, სადაც ძირითადად ავტომანქანები იქნებს. ხოლო პროსპექტი ქვეითებს და საზოგადოებრივ ტრანსპორტს დაეთმობა.

მოედნის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია რუსთაველის პროსპექტის განტვირთვისათვის ქვედა გზის შექმნა, რომელიც გულისხმობს ძნელაძის ქუჩის დაკავშირებას ელბაქიძის დაღმართთან, რაც

რუსთაველის მოედანი

მოედანს, სადაც მომავალში გაიმართება მრავალი საინტერესო სახალხო დღესასწაული, როგორიც არის თბილისობა, ბერიკაობა, მოსავლის ზეიმი, ყვავილების დღესასწაული და სხვა.

რუსთაველის პროსპექტის № 37 სახლის შიდა ეზოს მთელ სიგრძეზე რკინაბეტონის კონსტრუქცია გადახურავს, რომელიც შეკრავს მთელ კვარტალს და მრავალმნიშვნელოვანი დანიშნულებისა იქნება. იმის გამო, რომ მოედანი გადახურავს ყოფილ მოსკოვის ხევს, მის ქვეშ ჩნდება საშუალება მოეწყოს მრავალი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, როგორიც არის კინოთეატრი, სავაჭრო დაწესებულება, საგამოფენო დარბაზი, ავტომატური სატელეფონო სადგური და სხვ.

რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი გულისხმობს აგრეთვე ხევის კეთილმოწყობას სანაპიროს ფარგლებში, რომელიც ამფითეატრის სახეს მიიღებს, გაჩნდება წყლის აუზები, თვით მოედანზე გათვალისწინებულია აშენდეს რამდენიმე დიდი შადრევანი, დაიდგმება ქანდაკებები, ლამპიონები, საერთოდ გაფორმების იდეა ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკის დაეთმობა.

— ბევრს აინტერესებს, მოედანი გაფართოებას ხომ არ მოითხოვს, სხვა ტერიტორიის მიმატებაც ხომ არ არისო გათვალისწინებული?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ნგრევითი სამუშაოები უკვე დამთავრებული გვაქვს და მოედნის რეკონსტრუქცია არ მოითხოვს სხვა ტერიტორიის მიმატებას. რეკონსტრუქციის პროექტი არ ეხება არც ქიაჩელისა და პეროვსკაიას ქუჩებს.

— სამუშაოების დამთავრება როდისთვის გაქვთ გათვალისწინებული?

— ძირითადი სამუშაოები ორ წელიწადში უნდა დამთავრდეს. რაც შეეხება მიწისქვეშა სივრცის შექმნის მეორე ეტაპს, ამაზე მომავალში ვისაუბროთ.

არქიტექტურულ სახელოსნოში პროექტზე მუშაობა გრძელდება, იქმნება სულ ახალი და ახალი სამუშაო ნახაზები, რომლებსაც ასე ელოდებიან მშენებლები.

ლ. ხუბულური.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

პირველი—ბორჯომში, მეორე—თბილისში!

ᲥᲐᲚᲗᲐ შორის მსოფლიო პ[illegible] ველობაზე ფინალური მატჩის [illegible] ნაწილები მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბ[illegible] დანიძე და ჩემპიონობის პრეტენდენტი ნ[illegible] ალექსანდრია შეთანხმდნენ ამ მატჩის პ[illegible] ველი ნახევარი ითამაშონ ბორჯომში, მ[illegible] რე კი თბილისში. შეჯიბრება საზეიმოდ [illegible] იხსნება ორშაბათს, 7 სექტემბერს. მატ[illegible] გათამაშდება 16 პარტია. პირველი შეხვ[illegible] რა გაიმართება 8 სექტემბერს. მოჭადრა[illegible] ნი კვირაში სამ პარტიას ითამაშებენ — [illegible] შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. შესაბა[illegible] სად ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა და[illegible] მობა გადადებული პარტიების დასრულ[illegible] ბას. ორშაბათი დასვენების დღე იქნ[illegible] გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭ[illegible] რაკე, რომელიც 8,5 ან 9 ქულას დააგ[illegible] ვებს, მატჩის ფრედ დამთავრების (8:8) [illegible] მთხვევაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტუ[illegible] შეინარჩუნებს მაია ჩიბურდანიძე. თუ ე[illegible] ერთი მონაწილე 8,5 ან 9 ქულას ყველა [illegible] რტიის მოთამაშებამდე დააგროვებს, მა[illegible] შეწყდება.

მეხუთე ტური

ᲓᲦᲔᲡ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელ[illegible] გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუ[illegible] ტურის შვიდი მატჩი გაიმართება. ცსკა [illegible] ღებს „დნეპრს“, „ტორპედო“ — „მატ[illegible] ორს“, „ყუბანი“ —„ნეფთჩის“, „ტავრია“ [illegible] დონის როსტოვის არმიელთა გუნდს, „[illegible] რატი“—„ფახთაქორს“, მინსკის „დინამო“ [illegible] „სპარტაკს“, „ზენიტი“ — მოსკოვის „დი[illegible] მოს“.

სატურნირო ორბიტ[illegible]

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. მოსკოვში მიმდინარე დიდ[illegible] ტატა საერთაშორისო ტურნირის მე[illegible] ტურში კარპოვმა დაამარცხა სმისლოვი, [illegible] ლაშოვმა— სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), [illegible] ლუგაევსკიმ —პეტროსიანი, ბელიავსკიმ [illegible] ანდერსონი, კასპაროვმა — გელერი, პო[illegible] ტიმშა (უნგრეთი) — ტორე (ფილიპინე[illegible] გეორგიუ (რუმინეთი)-ტიმანინ (ჰოლანდ[illegible] პარტია გადადგო. ათი ტურის შემდეგ [illegible] ქულით ლიდერობს კარპოვი. მას 1,[illegible] ქულით ჩამორჩებიან კასპაროვი და პო[illegible] გაევსკი.

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოსა და ლენინგრა[illegible] ნაკრები გუნდების მატჩში დიდი ინტერ[illegible] გამოიწვია მსოფლიო ექსჩემპიონ გაფრინ[illegible] შვილის (შავები) შეხვედრამ საბჭოთა [illegible] შირის ჩემპიონ ლევიტინასთან. გათამა[illegible] ინგლისური დასაწყისი. გაფრინდაშვილ[illegible] იოლად გაათანაბრა მდგომარეობა და მე[illegible] სალაზე შეხვედრა ყაიმით დასრულდა. [illegible] თვე შედეგით დამთავრდა ვაჟთა პირვ[illegible] დაფაზე დიდოსტატ გუფელდის შეხვ[illegible] ლენინგრადის ჩემპიონ ოსტატ ლუკინ[illegible] საერთაშორისო ოსტატების უბილავასა [illegible] ცეიტლინის პარტია. საერთაშორისო ოს[illegible] ტმა ოსნოსმა მოუგო დიდოსტატ გურგ[illegible] ძეს, საერთაშორისო ოსტატმა ზაჩრიკმა [illegible] ოსტატ პოლოვოდინს. ანგარიში გახდა 2[illegible] 2,5. სამი პარტია გადაიდო.

უკრაინისა და ლატვიის გუნდების მატ[illegible] ანგარიშია 2,5:2,5.

დღეს მთავრდება 3 ტურის შემდეგ გა[illegible] დებული პარტიები. საქართველოს ნაკრ[illegible] ითამაშებს გამოტოვებულ მატჩს ლატვ[illegible] ლებთან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲗ. იუგოსლავიის [illegible] ლაქ ნოვი-საში გრძელდება მსოფლიო [illegible] მპიონატი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრ[illegible] თავის ქვეჯგუფში დაამარცხა შვეიცარია (3[illegible] საფრანგეთის (3:1), რუმინეთის (3:0), [illegible] ლისის (3:0) და იუგოსლავიის გუნდ[illegible] ჩვენმა ქალებმა ფინალურ ოთხეულში თა[illegible] შის უფლება მოიპოვეს. საბჭოთა კავშირ[illegible] ვაჟთა ნაკრებმა მოუგო ავსტრალიელებს (3[illegible] მაგრამ დამარცხდა ჩეხოსლოვაკიისა (1[illegible] და კორეის სახალხო-დემოკრატიული რ[illegible] პუბლიკის (1:5) გუნდებთან.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲐᲠᲯᲘᲕᲘ. ლენინგრა[illegible] ში დამთავრებულ საკავშირო თასების გა[illegible] მაშებში მრავალჯიდელ ვაჟთა შორის [illegible] მარჯვა მოსკოველმა ა. ტკაჩიოვმა (112[illegible] ქულა), ქალთა შორის კი კვარცხლბეკის [illegible] აღლეს საფეხურზე ავიდა ხარკოველი ა. [illegible] სნიკი. ცალკეულ ვარჯიშებში ქალთა შორ[illegible] უძლიერესთა წოდებები მოიპოვეს ა. მი[illegible] ქმა (ორძელი და დვირი), ბრიანსკელმა [illegible] ფროლოვამ (ბჯენით ხტომა) და კ[illegible] ნოიარსკელმა ე. ნიმიუშენამ (თ[illegible] სუფალი ვარჯიში). ვაჟთა შორის გამარჯ[illegible] ბულები არიან მინსკელი ა. არტემიოვი ([illegible] იჭი და ლერძი), ვლადიმირელი ი. კოროლო[illegible] (თავისუფალი ვარჯიში), როსტოველი ს. [illegible] ენიაკოვი (რგოლები), ვორონეჟელი ა. [illegible] პოვი (ბჯენით ხტომა) და ლვოველი ბ. [illegible] კუცი (ორძელი).

ᲞᲝᲚᲝᲕᲘ. გებეტორგში გრძელდება ევ[illegible] პისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. მეხუ[illegible] მერვე ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუ[illegible] გაიმართა ორი მატჩი. ამერიკის შეერთებ[illegible] ლი შტატების ჰოკეისტებმა დაამარ[illegible] ჰოლანდიელები — 7:6, ხოლო ფინელ[illegible] — გერმანიის ფედერაციული რესპუბლ[illegible] ნაკრები — 6:3.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 ᲐᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.30 — „მოამბე“ 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიასლენი, პრობლემები“, 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — შავისწავლოთ რუსული ენა, 13.15 — ბავშვებისათვის — იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“, 13.30 — სოფლის საათი (მ.), 14.30 — ტელეკურსელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაში დღ[illegible] ცენტი რ. ენუქაშვილი), 15.00 — „ვესტნიკი“, 15.30 — „ილუზიონი“, 17.20 — „სამეურნეო“, 17.50 — „კინოადგილი, 18.20 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „საბჭოთა მეცნიერების დღე“, 20.45 — „მოამბე“, 21.15 — „საბჭოთა საქართველო-60“ — ხალხური შემოქმედება, 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „კინონარკვევი, 22.45 — „ახალგაზრდა მეგ[illegible] მოქმედთა საველევიზიო კლუბი“ — 6. ურ[illegible] შაძე. 23.10 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.)

ᲛᲝᲜᲐᲪᲝ

19 ᲐᲠᲘᲚᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბ[illegible] ლეტის სახელმწიფო აკადემიური — **ნაციარ[illegible] ქია** (დღისით, სასკოლო მე-8 ამონ. მეო[illegible] წარმ), **გედის გბა** (საღამოს. შვეიციის ბალ[illegible] ტის პრემიერების **ანელი ალხაჯოს** და **ბორ[illegible] სეგერსგრემის** მონაწილეობით); მარჯანიშვილ[illegible] ლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური [illegible] — **ლილეი** (დღისით), **პრემიერა** (საღამოს); [illegible] აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის [illegible] — **მე, ცოლი და სიდედრი** (დღისით), **ლამპარ[illegible]** (საღამოს); მეტეხის თეატრი — **გაბვიოთ[illegible] დღე**; კინომსახიობთა სახლი — **ლურჯი ცხ[illegible] ნები წითელ ბალახზე**; მინიატიურების სახელ[illegible] მწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრ[illegible] ნდები** (დღისით და საღამოს); რუსთავის სახ[illegible] ლმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) [illegible] — **დარაბები მიღმა გაზაფხულია;** ფოლკლორ[illegible] რის ტაძარი — **უარავს რ. გერ-პეგროსიან[illegible]** (ფორტეპიანო).

რედაქტორი ბ. ბედინეიშვილ[illegible]

ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘ

ნეტავ ვინ მოჰქარგა...

ᲐᲠᲐᲡᲐᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲝᲒᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ძამას მშვენიერი ხეობის დასაწყისშივე, მტკვრის შესართავიდან რამდენიმე კილომეტრზე ყინწვისურას ნაპირებზე, შორიდანვე ჩანს ეკლესია. ძამას ნაპირებიდან ყინწვისურას შეუყვებით სამხრეთ-აღმოსავლეთით და უზარმაზარი კაკლის ხეების ჩრდილში მიადგებით კიდეც XII საუკუნის არქიტექტურულ-ისტორიულ ყინწვისის ანსამბლს. ისტორიულად იმ სოფელს, რომლის სიახლოვეს არის აგებული ეს ანსამბლი, ყინწვისი ჰქვია. ასეა იგი მოხსენიებული XVII საუკუნის ბევრ საბუთში და ბატონიშვილ ვახუშტის გეოგრაფიაშიც. ამ ანსამბლში, რომელიც რამდენიმე ნაგებობისაგან შედგება, ორი ძეგლია მხვნელოვანი: წმ. ნიკოლოზის კარგად გადარჩენილი ეკლესია, რომელზეც ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს: „...არს მონასტერი ყინწვისის წმიდის ნიკოლოზისა, გუმბათიანი, დიდშუენიერად ნაშენები, მაღალს ადგილსა ზედა“. ყინწვისის ანსამბლშიავეა ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთის ნაწილია გადარჩენილი. ეკლესიის დასავლეთის ნახევარი, ეტყობა, ოდესღაც ადადებულ ხევს ჩაუქცევია. ორივე ეკლესია მოხატულია, ოღონდ დროთა განმავლობაში სახურავიდან ნაჟურ წყალს ორივეში ბევრი რამ წაუშლია. არც ზოგიერთ უვიცს (სადამდისაც შესწვდომია) დაუკლია ხელი შუა საუკუნეების ამ ბრწყინვალე ძეგლისათვის.

ჩვენ წინაშეა ყინწვისის ორივე ეკლესიის მოხატულობის კრებული, 73 ფერადი რეპროდუქცია წმ. ნიკოლოზისა და ათიე ღვთისმშობლის ეკლესიისა. წიგნი გამოცემულია სერიით „ქართული ხელოვნების ძეგლები“(გამომცემლობა „ხელოვნება“).

ვფიქრობ, ამ გამოცემით ქართული ფერწერის სპეციალისტებს და ისტორიკოსებს ხელთ აქვთ მშვენიერი მასალა, ხოლო არასპეციალისტი სიამოვნებით და სიამაყის გრძნობითაც გადაფურცლავს, უფრო ახლოს მივა იმ ფრესკებთან, რომლებიც უნახავს და ერთხელ კიდევ განიცდის ქართული ხელოვნების უკვდავებას.

წიგნს ერთვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ოთარ ფირალიშვილის გამოკვლევა, შედგენილი ოთხი ნაწილისაგან: „ყინწვისის მოხატულობის მოკლე აღწერილობა“, „იკონური თემების ეროვნული და ჰუმანისტური გაგება“, „ფერი ჰუმანისტურ სწრაფვაში“ და „ადამიანური სილამაზის კონცეფცია“. წერილი დაბეჭდილია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ძლიერ კარგად მოქცეულა გამომცემლობა, რომ წერილის სრული თარგმანები დაუბეჭდავს რუსულ-ინგლისურად, რადგან იგი პრინციპული ხასიათისაა და ყურადსაღებია არა მხოლოდ ქართველთათვის.

კომპლექსის მოხატულობანი ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ერთია ყველა ქრისტიანული ეკლესიის მოხატულობისათვის დამახასიათებელი თემატიკა, რომლის შინაარსი კანონიკურია, მეორეა —საერო პირთა ჯგუფური თუ პერსონალური, ან ქტიტორების გამოსახულება, რომელთაც გარკვეულად დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ისტორიულად არსებულ პერსონალთა პორტრეტებს. ყინწვისის მოხატულობაშია ჩვენამდე მოღწეული ერთი ოთხთაგან პორტრეტი თამარ მეფისა. აქვეა მისი მამა და შვილი, აგრეთვე ზაზა ფანასკერტელისა და ქტიტორის ანტონ გნოლისთავისის სახეები. რაც მთავარია, აქ არის სახელგანძმული ყინწვისის ანგელოზი, ქართული კედლის მხატვრობის საოცრება და ძირითადი თემა, ქართულში ხშირად იგი სიმბოლურ-დეკორატიული მომენტით იცვლებოდა, რის ერთი ნიმუშიც ყინწვისის ეკლესიის გუმბათის მოხატულობა არის.

საგანგებოდ არის აღნიშნული ყინწვისის მხატვრობის ერთი ნიშან-თვისებაც. ეს არის ამქვეყნიური მშვენიერების წინწამოწევის ტენდენცია. ეს გამოიხატება ბუნებრივი ცისფერი ფონის გაბატონებაში, საქართველოს ცის ფეროვანების განსახიერებაში. ეს არის ის, რაც შემდეგ აკაკი წერეთლმა თქვა — „ცა-ფიროუზ“. ეს ფერი ყინწვისში გაბატონებული და წამყვანია, რაც არ დარჩენიათ შეუნიშნავი დეკანელართ.

აღსანიშნავია ადამიანური სილამაზის კონცეფციის საკითხი, რაც ნაშრომის თეორიული ნაწილად არის გამიზნული. აქ ყურადღება ექცევა ქართული მონუმენტური მხატვრობის ნათესაობას საბერძნეთსა და რომის სათანადო ხელოვნებასთან, მაგრამ არის ერთი არსებითი განსხვავება — შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქრისტიანოში გაბატონებული სქემა ქართულ მხატვრობაში (კერძოდ, ყინწვისში) შეიცვალა ნატურის შესწავლის პრინციპით. ყინწვისში იგრძნობა ნატურის საგანგებოდ შესწავლის შედეგი (ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მხატვარ-მომზატველს წინ ცოცხალი ადამიანი ედგა), რაც ტიპურობისაკენ იხრება. ადამიანის ანატომიის ცოდნა, მხატვრობის პერსონაჟთა გრაციოზული გამოსახვა, სხეულის ნაწილთა ორგანული უერთიერთკავშირი და ანატომიური ლოგიკა, რაც საოცარი მიმზიდველობითაა ნაჩვენები ანგელოზის პოზაში თუ ქანაანელი ქალწულის განკურნებაში, ამისი დამადასტურებელია.

ანგელოზის „ავტორის ასოციაციები ხორციელი სამყაროს სილამაზითაა შთაგონებული“, წერს ავტორი. სწორედ ამ „ხორციელი სილამაზის“ შედეგია ლეგენ გოთუას თემა იმ მშვენიერი თხზულებისათვის, რომელსაც „ყინწვისის ანგელოზი“ ჰქვია და რომელშიც შიოშ ფანასკერტელ-ციციშვილის ასულს ლელიას გამოიყენებს დედად ყრუ-მუნჯი იოანე მხატვარი.

რადგან ფილოსოფიურ ლიტერატურაში სხეულის გრაციული მოძრაობის ასახვა თავისუფლების სიმბოლოა, ამიტომ თამარის ეპოქის ეს ბრწყინვალე ქართული ხელოვნება, აღბეჭდილი ადამიანურობით და ადამიანური ინტერესით, არა იმქვეყნიურის გადდალებით, არამედ ჩვენი ქვეყნის ბუნების ფერებით ასახული, სრულიად შეესაბამება მაშინდელი საქართველოს შინაარსს და ვითარებას, უფრო კი იმ მაღალ იდეალებს, რომლებიც ერთობლივ ქართულ კულტურაში — ლიტერატურაში, არქიტექტურაში, ქანდაკებაში, მხატვრობაში, მუსიკაში არის ასახული.

გამოკვლევის ავტორი ოთარ ფირალიშვილი სრულიად მართებულად გვეუბნება: „ყინწვისის მოხატულობის ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანს არა ადამიანური გარეგნობისადმი „მიბაძვა“, არამედ ადამიანისათვის არსობრივის, თვითმქმედი ბუნების გამოსახვა და ინერტული ძალებისადმი თითქოსდა განზრახ დაპირისპირების ტენდენცია წარმოადგენს“.

შეუძლებელია არ დაეთანხმოთ ავტორს, რომელსაც ბევრი რამ გაუკეთებია, რომ მისი ეს წიგნი ყოფილიყო გამომხატველი როგორც შესასწავლი ძეგლის მნიშვნელობისა, ისე მის წინაშე მოწიწებისა და თაყვანისცემის გამოხატულებისა.

სოლომონ ხუციშვილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜ: ფილმის „გაგიმარჯოთ ყველას“! — კადრი. ნიკო ფიროსმანი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. მეღვინეთუხუცესი; ია — მსახიობი ნ. ლორთქიფანიძე.

გაგიმარჯოთ ყველას!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ

Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ პირველ რიცხვებში ჩვენი ქვეყნის მილიონობით ტელემაყურებელმა ცენტრალური ტელევიზიით ნახა ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გაგიმარჯოთ ყველას!“, რომელიც გ. კოროსტელიოვის პიესის („მარტოობის დღესასწაულის („ფიროსმანი“) და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ამავე სახელწოდების სპექტაკლის მიხედვით დადგეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ და რეჟისორმა ა. დარსაველიძემ.

ორსერიიანი სატელევიზიო ფილმი, რომელიც ცენტრალური ტელევიზიის შეკვეთით შეიქმნა, გადაიღო ოპერატორმა ლ. პაატაშვილმა, დამდგმელი მხატვრები არიან თ. მირზაშვილი და კ. ხუციშვილი, კომპოზიტორი — ი. ბობოხიძე, ფიროსმანის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. მეღვინეთუხუცესი.

ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალმა ნამუშევარმა დიდი ინტერესი გამოიწვია. აი, რას ეკითხულობთ 7 აპრილის გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ ერთი კვირის სატელევიზიო მიმოხილვაში:

„...ჩვენ ვნახეთ მხატვრული ტელეფილმი „გაგიმარჯოთ ყველას!“ ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და შეოცნებებზე, მისი ცხოვრება მართლაც ლეგენდად იქცა. ოღონდ ფილმის ავტორები კი არ წავიდნენ იმ გზით, რომ მითის კიდევ ერთი ვერსია შეექმნათ, არამედ ტელეხელოვნების ბუნების გამოყენებით შეეცადნენ დიდი მხატვრის სახე ეჩვენებინათ ყველაზე ნაღდი დოკუმენტებით — მისი ნახატებით. არაერთხელ თქმულა, როდესაც დოკუმენტსა და მხატვრულს შორის ზღვარი იშლება, იგი ცხოვრების აქტიური ჩვენების წმინდა სატელევიზიო ფორმაში გადადის ხოლმე. მაგრამ, ალბათ, ჩვენ პირველად ვნახეთ „გამოჩენილი ადამიანთა ცხოვრების“, სერიის ფილმი, რომელიც ერთდროულად მხატვრის მსოფლმხედველობის ღრმა გამოკვლევაც არის და მისი ფერწერის ენისაც. უსაზღვრო ზეცა ფიროსმანისათვის, რამდენადმე, ზნეობრივ საზომად იქცა, მაგრამ ცას მიწა განადიდებს თავისი მიღწევებით — ამას არაერთხელ იმეორებს იგი ფილმში და სურს ხმამაღლა განაცხადოს: „გაგიმარჯოთ, პლანეტის ადამიანებო!“



„საქართველო—ჩემი სიყვარული“

ᲜᲘᲚᲘᲢᲐᲜ ბერგმანი შტუტგარტში ცხოვრობს. ეს ქართული სახელი დაარქვა თავის ქალიშვილს ცნობილმა დასავლეთ გერმანელმა პოეტმა და მთარგმნელმა რუდოლფ ბერგმანმა. ქართული კულტურის ამ მგზნებარე თაყვანისმცემლისთვის ახლობელია ყველაფერი, რაც დაკავშირებულია საქართველოსთან.

რუდოლფ ბერგმანმა, რომელსაც პაბლო ნერუდას სახელობის პრემია მიენიჭა აქტიური მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის, გერმანულად თარგმნა ქართველი პოეტების ბევრი ნაწარმოები. ჩვენი ხალხის თავისთავადი ეროვნული კულტურის ენერგიული პოპულარიზატორი, იგი ხშირად გამოდის ლექციებით, სტატიებით, რეცენზიებით, მიყავს გადაცემები ტელევიზიითა და რადიოთი. ბერგმანი საქართველოს პირველად გაეცნო 1973 წელს და მას შემდეგ არაერთხელ ჩამოსულა ჩვენთან. ამჯერად — მეხუთედ მან თავისი მშობლიური ქალაქიდან ჩამოიყვანა მასავით ქართული კულტურით გატაცებულ ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფი.

...საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის სახლმუზეუმი. პოეტმა მორის ფოცხიშვილმა წაიკითხა მხატვარი ქალისადმი მიძღვნილი თავისი ლექსები, რუდოლფ ბერგმანის პოეტური ნაწარმოებების თარგმანები.

— საქართველო ჩემი სიყვარულია, — ახე დაიწყო თავისი ინტერვიუ საქინფორმის კორესპონდენტთან მოგზაურობის ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა რ. ბერგმანმა, — და ეს გრძნობა ჩემში ყოველ ახალ შეხვედრაზე იზრდება. ამ სიყვარულს ჩემი მეგობრებიც ეზიარებენ.

თქვენს რესპუბლიკასთან დაკავშირებით ორი